პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 131 (11742)
კვირა, 5 ივნისი, 1960 წ.
ფასი 20 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი სულ უფრო ფართოდ აჩაღებს მზადებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის შესახვედრად. ქართული ავტომობილის მშენებლები წარმატებით ართმევენ თავს შვიდწლედის მეორე წლის დავალებებს, გეგმის გადამეტებით აძლევენ სამშობლოს სატვირთო ავტომობილებს.

ესწრაფვიან რა ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ავტომობილმშენებლებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი თბილისელ ჩარხმშენებელთა შესანიშნავ თაოსნობას და კიროველთა მაგალითისამებრ გადასინჯეს წინათ ნაკისრი ვალდებულებანი, გადაწყვიტეს ტექნიკური პროგრესის დარგში მთელი წლისათვის გათვალისწინებული ზოგიერთი ღონისძიებანი განახორციელონ ვადამდე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის გახსნის დღისათვის. კერძოდ, ავტომობილმშენებლები კისრულობენ:

მექანიკური დამუშავების საამქროებში 1 ივლისამდე დანერგონ და წარმოებაში გადასცენ მაღალი წარმადობის ათი სამარჯვი.

მცირეგაბარიტიანი ტრაქტორის „რიონის“ დეტალების დასამუშავებელი ნაკადური ხაზების მოსაწყობად პლენუმის გახსნის დღისათვის დაამთავრონ 15 დასახელების სამარჯვის დამზადება.

დანერგონ ავტომობილის უკანა ხიდის წამყვანი კონუსური კბილანის კოპირული ჩარხვა ჰიდროკოპირულ ჩარხზე.

აამუშაონ სპეციალური ოთხშპინდელიანი საჭრეთო-მავენტრირებელი ჩარხი კარდანული ლილვის ჯვართავას დასამუშავებლად.

საექსპლოატაციოდ გადასცენ კოორდინატული, მრავალმჭრელი ჩარხი (მოდელი „2 ბ-450“) და „მშ-63“ მოდელის ჩარხი.

დაამთავრონ თუჯისა და ფოლადის გურგუშელას დამჭენი დანადგარის საექსპლოატაციოდ გადაცემა.

იკისრეს რა ახალი ვალდებულებანი, ავტომობილმშენებლებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ნახევარი წლისა და შვიდი თვის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, იმისათვის, რომ ნედლეულის ეკონომიით, რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მიმდინარე წელს დაზოგონ და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანონ 2,5 მილიონი მანეთი, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდის 1965 წლისათვის გათვალისწინებულ დონეს მიაღწიონ 1964 წელს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს

კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეებთან რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლების შეხვედრისადმი მიძღვნილი კრების მონაწილენი საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელთა სახელით მგზნებარე სალამს უთვლიან მშობლიური და საყვარელი კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს.

ჩვენი შეხვედრის სიხარული გაცისკროვნებულია შვიდწლედის დიადი შრომითი გამარჯვებების კაშკაშა შუქით. ყველა ჩვენგანზე ღრმა, დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ისეთმა თვალსაჩინო მოვლენამ, როგორიც იყო კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების შეჯიბრების მოწინავეთა ეს-ეს არის დამთავრებული სრულიად საკავშირო თათბირი. ეს შესანიშნავი მოძრაობა, რომელიც დაიბადა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის წიაღში, ნამდვილი ტრიუმფია ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა, რომელიც, ასრულებს რა უკვდავი ლენინის ანდერძს, მზრუნველობით ნერგავს ხალხში ახალ, კომუნისტურ დამოკიდებულებას შრომისადმი, მაღალ კომუნისტურ მორალს.

ჩვენ დიდად გაგვახარა თათბირის მონაწილეებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმების გულთბილმა, გულითადმა სიტყვებმა. ჩვენი ძლიერი სამშობლოსათვის უდიდესი სიამაყის გრძნობას განვიცდიდით, როცა რადიოთი ვისმენდით და გაზეთებში ვკითხულობდით ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ღრმააზროვან და მკაფიო სიტყვას თათბირზე.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა კომუნისტური შრომის ბრიგადებსა და დამკვრელებს მომავლის პიონერები უწოდა. ახალი მოძრაობის — მშრომელთა მასობრივი შრომითი გმირობისა და აღზრდის სკოლის დამსახურების ამ მაღალმა შეფასებამ და აღიარებამ ყველგან გამოიწვია მასების შემოქმედებითი ინიციატივის ახალი დიდი აზვირთება.

ჩვენ, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, სულით და გულით ვუჭერთ მხარს ჩვენი მშობლიური საბჭოთა მთავრობის სწორ, განუხრელ პოზიციას იმათ მიმართ, ვინც ფეხქვეშ თელავს ელემენტარულ საერთაშორისო ნორმებს, ვინც პროვოკაციულ აგრესიულ პოლიტიკას ახორციელებს ჩვენი ქვეყნის მიმართ. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვთან ერთად ყოველი ჩვენგანი, ისევე როგორც ყოველი საბჭოთა ადამიანი, ჩვენი სამშობლოს ძალისა და ძლიერების შეგნებით იმეორებს, საბჭოთა კავშირი არასოდეს არ მოიხრის ქედს იმათ წინაშე, ვინც გვემუქრება, და მუდამ მზად არის დაიცვას თავისი სამართლიანი საქმე!

ჩვენი სამშობლო — მძლავრი საბჭოთა კავშირი მტკიცედ მიდის წინ შვიდწლედის დევგმირული ნაბიჯებით. ჩვენი ხალხი რწმენით მიდის კომუნისტური შრომის გამარჯვებისაკენ. ხალხის ურღვევი ერთიანობა და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო დარაზმულობა მრისხანე გაფრთხილებაა ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი დამქაშებისათვის, მშვიდობის მტრებისათვის.

მთელი მსოფლიო ხედავს, რომ კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეებთან ერთად მთელი საბჭოთა ხალხი, სოციალიზმის მთელი ბანაკი მხურვალედ იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ეს პოლიტიკა, რომელიც გამოხატავს საბჭოთა კავშირის ხალხების — კომუნიზმის მშენებელი ხალხების ძირეულ ინტერესებს, გამსჭვალულია უსაზღვრო ზრუნვით ჩვენი სამშობლოს ძლიერებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობისათვის, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

ჩვენი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის დამაჯერებელი დასტური იყო საბჭოთა კავშირის მთავრობის წინადადებანი საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების ძირითად დებულებათა შესახებ და ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის წერილი ყველა ქვეყნის მთავრობათა მეთაურებისადმი. ეს ჭეშმარიტად ისტორიული დოკუმენტები მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირს სურს ნამდვილი და სრული განიარაღება, ყველა სახეობის იარაღის მოსპობა და განიარაღებისადმი სასტიკი კონტროლის დაწესება, რათა არავის არ შეეძლოს შეიარაღება, რათა არავის არ შეეძლოს ომით დამუქრება.

ჩვენ პირობას ვაძლევთ სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრები ურყევია ისევე, როგორც ურყევია მთელი საბჭოთა კავშირის საზღვრები, რომ ჩვენი მამაცი მეომრები — მესაზღვრეები მტრის არც ერთ მსტოვარს არ შემოუშვებენ.

ჩვენ, საქართველოს მშრომელებს, უსაზღვროდ გვახარებს, რომ სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეთა შორის იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც — მუშათა კლასის საუკეთესო შვილები, მისი სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების მემკვიდრენი და განმგრძობნი. ნამდვილი დღესასწაული იყო ჩვენი კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების მოძრაობის მოწინავეთა დაჯილდოება. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ იმათ შორის, ვისაც სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, არიან ჩვენი წარჩინებული მეტალურგი და ჩვენი წარჩინებული მეშახტე, რომ დაჯილდოებულთა შორის არიან საქართველოს სხვადასხვა საწარმოთა წარმომადგენლები. ეს ჯილდოები ბევრ რამეს გვავალებენ. მთავრობის მაღალი ჯილდოები ახალი შრომითი წარმატებებისაკენ მოუწოდებენ შესანიშნავი მოძრაობის ყველა მონაწილეს.

მოხარული ვართ ვაცნობოთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ კომუნისტურის წოდებისათვის შეჯიბრებაში ახლა ებმებიან საქართველოს მთელი საამქროები და საწარმოები, რომ სულ უფრო ფართოდ ჩაღდება ბრძოლა შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ჩვენი საწარმოებისა და მშენებლობების კოლექტივებმა იკისრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი ივლისის პლენუმს შეხვდნენ ახალი წარმატებებით წარმოების ტექნიკური პროგრესის გზაზე.

დიდ და სახელოვან საქმეებს აკეთებენ ახლა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. რუსთავისა და ზესტაფონის მეტალურგებმა, ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის მეშახტეებმა, თბილისის, ქუთაისისა და სხვა ქალაქების ჩარხმშენებლებმა, მანქანათმშენებლებმა, ხელსაწყოთმშენებლებმა, ფეიქრებმა, მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშაკებმა იკისრეს: მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების ახალ ზრდას, თვითღირებულების შემცირებას, ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებას. ჩვენმა მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე შეასრულონ შვიდწლედი, ჩვენმა მეცხოველეებმა გადაწყვიტეს ერთიორად გაადიდონ ხორცის წარმოება.

რესპუბლიკის მშრომელები აღფრთოვანებული არიან სურვილით 1960 წელი — შვიდწლედის მეორე წელი — გადააქციონ ახალ დიდ შრომით გამარჯვებათა წლად.

ბრძოლა კომუნისტური შრომის გამარჯვებისათვის გვავალებს ყოველდღიურად ვზრდიდეთ შრომის ნაყოფიერებას, ვეუფლებოდეთ ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიას, ვუჩვენებდეთ ეკონომიისა და ყაირათიანობის მაგალითს, ვავრცელებდეთ მოწინავე გამოცდილებას, ყოველი ღონისძიებით ვიმაღლებდეთ კულტურულ-ტექნიკურ დონეს. შრომასა და ყოფა-ცხოვრებაში შევასრულებთ კომუნისტური ზნეობის მაღალ პრინციპებს, განვავითარებთ კოლექტივიზმისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების გრძნობებს, ვიბრძოლებთ წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ, მუდამ ვიზრუნებთ იმისათვის, რომ დღითიდღე იზრდებოდეს და ფართოვდებოდეს მომავლის პიონერების — კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების დიდი და მძლავრი არმია.

პირობას ვაძლევთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ გავამრავლებთ კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელების მოძრაობის მონაწილეთა რიგებს, უფრო ფართოდ გავაჩაღებთ შეჯიბრებას შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

გაუმარჯოს მომავლის პიონერებს — კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელების სახელოვანი მოძრაობის მონაწილეებს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას — გმირი საბჭოთა ხალხის ერთგულ მესაჭეს და მის საბრძოლო შტაბს — ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს კომუნიზმს — მთელი კაცობრიობის ნათელ მომავალს!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების შეჯიბრების მოწინავეთა საკავშირო თათბირის მონაწილეებთან რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლების შეხვედრისადმი მიძღვნილი კრების ანგარიში იხილეთ მე-3 გვერდზე.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

კუბის რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიური მისიის მეთაური ანტონიო ნუნიეს ხიმენესი

3 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო კუბის რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიური მისიის მეთაური კუბის აგრარული რეფორმის ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი ანტონიო ნუნიეს ხიმენესი.

ა. ნუნიეს ხიმენესმა საბჭოთა ხალხს და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცა კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრ ფიდელ კასტროს მეგობრული სალამი, ნ. ს. ხრუშჩოვს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობა გადაუხადა ანტონიო ნუნიეს ხიმენესს და საბჭოთა ხალხისა და პირადად თავისი სახელით წარმატება უსურვა კუბელ ხალხს და ფიდელ კასტროს მათ ბრძოლაში თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

საუბრის დროს ა. ნუნიეს ხიმენესმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გადასცა ფიდელ კასტროს მიწვევა ესტუმროს კუბას, ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობით მიიღო ეს მიწვევა. კუბაში ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის დრო დამატებით იქნება შეთანხმებული.

საუბარი მიმდინარეობდა გულითადობისა და სრული ნდობის სულისკვეთებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის

ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენცია

პასუხი კორესპონდენტთა კითხვებზე

ამერიკის „იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის“ სააგენტოს კორესპონდენტის ჰ. შაპიროს კითხვა: როგორია თქვენი დამოკიდებულება მარშალ მალინოვსკის განცხადებისადმი, რომელიც მან გააკეთა კრემლში დამკვრელთა თათბირზე იმის შესახებ, რომ მან უბრძანა სარაკეტო ჯარების სარდალს დაარტყას თვითმფრინავის გამოფრენის ბაზებს, თუ დარღვეულ იქნა საბჭოთა კავშირისა და სხვა კომუნისტური ქვეყნების სივრცე?

ნ. ს. ხრუშჩოვი. გთხოვთ გაიგოთ პირდაპირ ისე, როგორც თავდაცვის მინისტრმა მარშალმა მალინოვსკიმ თქვა. მან საკმაოდ მკაფიოდ თქვა, რომ თვითმფრინავებს, რომლებიც შემოიჭრებიან ჩვენი საჰაერო სივრცის ფარგლებში, მოწინააღმდეგის თვითმფრინავებს ჩამოვაგდებთ, ხოლო ბაზებს, საიდანაც, ისინი გამოფრინდებიან, გამანადგურებელ დარტყმებს მიაყენებენ სარაკეტო ძალები. ამის შესახებ მთავრობამ მისცა მითითება თავდაცვის მინისტრს, ხოლო მინისტრმა ბრძანება მისცა სარაკეტო ჯარების სარდალს.

რატომ ვქენით ეს? იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებმა აღიარეს და ჯერ კიდევ ამბობენ, რომ ისინი იტოვებენ უფლებას იფრინონ ჩვენი ტერიტორიის თავზე დაზვერვის მიზნით. ამ უფლებას ისინი ასაბუთებენ შეერთებული შტატების, მათი მოკავშირეების—სატელიტების თავდაცვის უზრუნველყოფის საჭიროებით.

საბჭოთა მთავრობამ ეს საკითხი დააყენა უშიშროების საბჭოში. უშიშროების საბჭომ მხარი არ დაუჭირა ჩვენს წინადადებას, იმიტომ რომ მის უმრავლესობას შეადგენენ შეერთებული შტატები, მოკავშირეთა წარმომადგენლები და, მე ვიტყოდი, რომ ზოგიერთი მათგანი სუვერენიტეტის დარღვევის საკითხებში იყენებდა ისეთსავე ავაზაკურ მეთოდებს, როგორსაც შეერთებული შტატები.

ამ პირობებში, როცა უშიშროების საბჭომ მხარი არ დაგვიჭირა და წესრიგისაკენ არ მოუწოდა აგრესორს — შეერთებულ შტატებს, — არ დაგმო ისინი, ჩვენ სხვა არა დაგვრჩენია რა, გარდა იმისა, რომ დავენდოთ საკუთარ ძალებს. ამიტომ გაიცა ასეთი ბრძანება, და ეს ბრძანება მტკიცედ შესრულდება. ჩვენ გთხოვთ გააკეთოთ აქედან სერიოზული დასკვნები. განსაკუთრებით უნდა დაფიქრდნენ იმ ქვეყნების ხელმძღვანელები, რომლებიც საბჭოთა კავშირის გარშემო მდებარეობენ და სადაც ამერიკის ბაზებია განლაგებული. თუ ამ ბაზებს ამერიკელები გამოიყენებენ ჩვენს წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირი დაარტყამს ამ ბაზებს. **(ტაში).**

ჩვენ რომ მითითება არ მიგვეცა თავდაცვის მინისტრისათვის, ხოლო თავდაცვის მინისტრს არ გაეცა ბრძანება, ამით ჩვენ დუმილით დავეთანხმებოდით ავაზაკურ პოლიტიკას, რომელიც შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადეს საბჭოთა კავშირისა და ჩვენი მოკავშირეების — სოციალისტური ქვეყნების მიმართ. ჩვენ ამას, რა თქმა უნდა, ვერ შევურიგდებით, მით უმეტეს, რომ გვაქვს შესაძლებლობა არ დავუშვათ აგრესია, დავსაჯოთ ისინი, ვინც აგრესიას ჩაიდენს.

გაზეთ „იზვესტიის“ კორესპონდენტის ნ. პოლიანოვის კითხვა: რა შეგიძლიათ თქვათ, ამხანაგო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის უაიტის განცხადების გამო იმის შესახებ, რომ „შეერთებული შტატები შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს მოკავშირეთა წინაშე“?.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მე ვიცნობ ამ განცხადებას. განცხადება ჰკვიანური კი არა, სულელურია, მისი სისულელე ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცხადყოფენ, რომ ისინი დგანან ძველ პოზიციაზე, არ ცნობენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის თავზე თავიანთი თვითმფრინავის ფრენის აგრესიულობას. ისინი კვლავ დაჟინებით იცავენ თავიანთ უფლებას ჩაიდინონ ასეთი ჯაშუშური ფრენა, რასაც ისინი აცხადებდნენ. სახელმწიფო დეპარტამენტში რომ ჰკვიანი ადამიანები იყონ, ისინი სხვას იტყოდნენ. ისინი იტყოდნენ, რომ პრეზიდენტმა გასცა განკარგულება, რომ მათმა ჯაშუშურმა, სამხედრო თვითმფრინავებმა აღარ იფრინონ სხვა ქვეყნების თავზე, ისინი იტყოდნენ, რომ ასეთი თვითმფრინავები ახლა აღარ იფრენენ და ამიტომ მარშალ მალინოვსკის გამოსვლაში დასმული საკითხი უსაგნო რჩება, რადგან არ იქნება საბაბი მის მიერ გაკეთებული განცხადების განხორციელებისათვის.

მაგრამ ეს არ იყო ნათქვამი სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში. პირიქით, მასში ნათქვამია, რომ შეერთებული შტატები შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს მოკავშირეთა წინაშე. ამით ისინი ეუბნებიან იმ ქვეყნებს, სადაც ბაზები მდებარეობს, თქვენ ნუ გეშინიათ, თუ საბჭოთა კავშირმა გაგანადგურათ, საპასუხო დარტყმა მოგაყენათ რაკეტებით, მას შემდეგ, რაც თქვენ გაგანადგურებენ, თქვენს დაკრძალვაზე მოვალთო. **(გამოცოცხლება დარბაზში).** ასე რომ თქვენ უფრო მტკიცედ იმოქმედეთ და განახორციელეთ... სულელური პოლიტიკაო. **(ტაში).**

ვფიქრობ, რომ საღად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც არიან იმ ქვეყნებში, სადაც განლაგებულია ამერიკის ბაზები, ჩაუფიქრდებიან ამას. ისინი გაიგებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის, უაიტის პროვოკაციული განცხადების მიზანია გააღვივოს ცივი ომი, რომელიც შეიძლება ცხელი ომით დამთავრდეს, და რომ პირველ დარტყმას მიიღებენ ის ქვეყნები, რომელთა ტერიტორიაზე მდებარეობს შეერთებული შტატების სამხედრო ბაზები.

უაიტის ეს განცხადება ადასტურებს ჩვენს აზრს, რომ, ალბათ, ახლა პენტაგონის აგრესიულ ძალებს, აგრეთვე ჰერტერს, ნიქსონს, დილონსა და ამერიკის შეერთებული შტატების სუსტი ხასიათის (თუმცა ეს არ ხსნის მას პასუხისმგებლობას) პრეზიდენტს, რომელიც მხარს უჭერს და აქეზებს ამგვარ განცხადებებს, მიაჩნიათ, რომ თუ ომი დაიწყო, მას სისხლით ზღავენ ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ახლოს მდებარეობენ. მე მინდა, რომ ეს შეიგნოს ყველა ხალხმა, ჩვენ კი ყველა ხალხთან მშვიდობით ცხოვრება გვსურს. საბჭოთა კავშირს ომი არა სურს, მაგრამ ჩვენ უკან არ დავიხევთ ჩვენი სამშობლოს სუვერენიტეტის დაცვის დროს. თურქებმა, სადაც მდებარეობს ამერიკის ბაზები, დააპატიმრეს მენდერესი, და იგი ახლა საპყრობილეში ზის; ახალმა პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა გენერალმა გიურსელმა განაცხადა, რომ იხელმძღვანელებს ათათურქის პოლიტიკით, რომელთანაც ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლის დროს ჩვენს ქვეყანას კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ჩვენ გვინდა, რომ მეგობრობა იყოს ჩვენსა და თურქეთს შორის, ჩვენსა და ინგლისს შორის, ჩვენსა და საფრანგეთს და სხვა ქვეყნებს შორის.

ამერიკელთა მთავარი ბაზები მდებარეობს ინგლისში, საფრანგეთსა და იტალიაში. ერთი სიტყვით, ჩვენ გვყავს გენერალური შტაბი და მას წრეებით აქვს აღნიშნული, სად მდებარეობენ ეს ბაზები. **(გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).**

ამერიკის ნეიშნლ ბროდკასტინგ კომპანის რადიომაუწყებელი კომპანიის კორესპონდენტის ჯ. მაიკლსის კითხვა: ბატონო თავმჯდომარევ! როცა თქვენს გეგმაზე ლაპარაკობდით, თქვენ თქვით, რომ საბჭოთა კავშირი წინადადებას იძლევა შეიქმნას საკონტროლო ორგანიზაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოებში, აგრეთვე შეიქმნას საერთაშორისო საპოლიციო ძალები აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოებში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება შეიცავს დებულებას ვეტოს შესახებ. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ვეტოს უფლება უნდა განხორციელდეს საერთაშორისო საკონტროლო ორგანიზაციის შექმნის დროსაც, აგრეთვე საერთაშორისო საპოლიციო ძალების შექმნის დროს?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩვენს წინადადებებში დასმულია განიარაღების საკითხი, მაგრამ იქ არაფერია ნათქვამი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასინჯვის შესახებ. ჩვენ არც ვფიქრობთ შემოვიტანოთ წინადადებანი წესდების გადასინჯვის შესახებ, არამედ, პირიქით, განზრახული გვაქვს დავიცვათ ეს წესდება. იმათ, ვინც ცდილობს გადაისინჯოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და გააუქმდეს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ერთხმივობის პრინციპი ანუ ვეტოს უფლება, როგორც მას უწოდებენ, მინდა განვუმარტო, რა არის ვეტო. ვეტოს უფლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძალა და სიბრძნეა.

მსოფლიოში ახლა არის სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნები. ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც ორი შეერთებული ჭურჭელი. ამჟამად სახელმწიფოთა რაოდენობით უფრო დიდია კაპიტალისტური ჭურჭელი, მაგრამ ეს დროებითი მდგომარეობაა. ისტორია იმგვარად ვითარდება, რომ კაპიტალისტურ ჭურჭელში დონე დაიწევს, სოციალისტური ჭურჭელი კი თანდათან აივსება. ახლანდელ პირობებში, უშიშროების საბჭოში საკითხები უბრალო უმრავლესობით რომ წყდებოდეს, ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებზეც ბევრი ქვეყანაა დამოკიდებული, თავიანთ გადაწყვეტილებებს მიაღებინებდნენ. მაგრამ წესდება სწორედ იმიტომ ითვალისწინებს ვეტოს უფლებას, რომ შეიძლებოდეს გეზის აღება არა უბრალო უმრავლესობაზე, არამედ ისეთ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მისაღები იქნება როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის. ეს ერთადერთი გონივრული პრინციპია საერთაშორისო საქმეებში, ყოველი სხვა მიდგომა ომს გამოიწვევდა.

რა მოხდებოდა, რომ არ იყოს ვეტოს უფლება და რომ უმრავლესობა შეკრებილიყო და გადაეწყვიტა წარმოებდეს ფრენა საბჭოთა კავშირის თავზე? დავუშვათ არა გვქონოდა ვეტოს უფლება, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მათს მოკავშირეებს დაეწყოთ თავიანთი თვითმფრინავების ფრენა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის თავზე. განა ჩვენ მაშინ ვიტყოდით, რომ თუ უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება, ჩვენ მზად ვართ ფარხმალი დავყაროთ. არა, ჩვენ მივცემდით ბრძანებას მინისტრ მალინოვსკის: იქონიოს სარაკეტო ტექნიკა საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში და ჩამოაგდოს თვითმფრინავები, დაიცვას სამშობლო და ასე იმოქმედებდა ყოველი ქვეყანა, რომელიც პატივს სცემს თავის თავს, იმიტომ რომ ყოველ ქვეყანას აქვს უფლება დაიცვას თავისი სუვერენიტეტი და მოითხოვოს ჩაურევლობა თავის საშინაო საქმეებში. ამიტომ ვეტოს უფლება გონებაჩლუნგებსაც კი აიძულებს იფიქრონ, აიძულებს მათ ეძებონ ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებიც კი არ გაამწვავებდნენ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას, არამედ, პირიქით, გააუმჯობესებდნენ ამ ურთიერთობას და შექმნიდნენ პირობებს მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

აი რა არის ვეტო.

გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის ე. ლიტოშკოს კითხვა: ამხანაგო თავმჯდომარევ! დასავლეთში ზოგიერთი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე აცხადებს, რომ უმაღლესი დონის თათბირი შეიძლება არც გაიმართოს 6-8 თვის შემდეგ, როგორც თქვენ მოითხოვდით პარიზში. როგორია თქვენი აზრი ამ საკითხზე?

ნ. ს. ხრუშჩოვი. უმაღლესი დონის თათბირი ესაჭიროება არა მარტო საბჭოთა კავშირს, არამედ აგრეთვე ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს დედამიწაზე და, მაშასადამე, მისი მოწვევის ვადა ეხება ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოს. თუ თათბირი არ გაიმართა 6-8 თვის შემდეგ, ჩვენ, რა თქმა უნდა, მიგვაჩნია, რომ ეს ეწყინებათ ყველა ქვეყნის ხალხებს. მაგრამ ამით საბჭოთა კავშირი არ შეწყვეტს არსებობას და პრობლემები, რომლებიც მოითხოვენ გადაჭრას, აგრეთვე არ შეწყვეტენ არსებობას.

ზოგიერთი, ალბათ, ფიქრობს, რომ თუ არ იქნა უმაღლესი დონის თათბირი, ამით დიდი ხნით გადაიდება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხი და აქედან გამომდინარე დასავლეთ ბერლინის საკითხის გადაჭრა. თუ ასეთი ადამიანები არიან, ისინი ცუდად ფიქრობენ.

გავა ეს ვადა და თუ ჩვენ დავინახავთ, რომ დასავლეთის ქვეყნების მთავრობებს არა სურთ შეხვედრა, არა სურთ მომწიფებული საკითხების გადაჭრა, ჩვენ შევუთანხმდებით სოციალისტურ ქვეყნებს, შევიკრიბებით, მივმართავთ ყველა ქვეყანას, რომელსაც სურს ხელი მოაწეროს გერმანიის საზავო ხელშეკრულებას. შევიკრიბებით, განვიხილავთ და მოვაწერთ ხელს საზავო ხელშეკრულებას. და მაშინ გაუქმდება დასავლეთ ბერლინში იმ ქვეყნების შესვლის უფლება, რომლებიც ჩვენი მოკავშირეები იყვნენ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში, ახლა კი გახდნენ მოკავშირენი ჩვენი, ასე ვთქვათ „პატივცემული მეგობრის“ ადენაუერისა, რომელიც წარმომადგენელია მილიტარისტული გერმანიის აგრესიული ძალებისა, რომლებიც მოუსპობელი დაგვრჩნენ სტალინგრადთან. დაე მაშინ ისინი გადაეხვიონ მას და ჰკოცნონ, მაგრამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა არავის არ შეუშვებს თავის ნებადაურთველად დასავლეთ ბერლინში, რადგან ყველა უფლება მთლიანად გერმანიის სახელმწიფოს მიეკუთვნება და იგი განახორციელებს თავის ძალაუფლებას მთელ თავის ტერიტორიაზე, ესე იგი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სადაც მდებარეობს დასავლეთი ბერლინიც. მხოლოდ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, და სხვას არავის, ექნება უფლება განაგებდეს ამ ტერიტორიას. ხოლო თუ ვისმეს სურს ომით დაგვემუქროს, დაე იკისროს პასუხისმგებლობა ომის გაჩაღებისათვის.

ჩვენ ომი არა გვსურს, ჩვენ გვსურს მშვიდობა, გვსურს ხელი მოვაწეროთ საზავო ხელშეკრულებას და მოვსპოთ ნაკვერჩხლები, რომლებიც ჯერ კიდევ ბჟუტავენ, ნაკვერჩხლები, რომლებიც არ გამქრალან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ჩვენ გვინდა ჩავაქროთ ისინი.

ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ეს ნათელია. მით უმეტეს, რომ ჩვენ უკვე არაერთხელ მივმართეთ დასავლეთის ქვეყნების მთავრობებს ასეთი წინადადებებით.

მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ამ საკითხში ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა პოზიციის შესახებ. დაე მათ ეყოთ გამბედაობა და თქვან სიმართლე, თქვან ის, რასაც ისინი თავის თავს და ზოგიერთ სხვას ეუბნებიან. ამასთან დაკავშირებით მაგონდება ერთი ფელეტონი, რომელიც ძალიან მომეწონა. რევოლუციის შემდეგ პირველ წლებში ცოტა როდი იყო სულელური ანკეტა, რომელიც გამოჰკითხავდა ადამიანებს; განსაკუთრებით ეს ეხებოდა ინტელიგენციას. ერთ ასეთ ანკეტაში იყო კითხვა: „გწამს თუ არა ღმერთი?“. მოსამსახურე ფიქრობს: თუ ვთქვი, რომ მორწმუნე ვარ, ხომ არ მოახდენს ეს გავლენას სამსახურებრივ მდგომარეობაზე? მაშინ ანკეტის ერთ-ერთმა შემვსებმა ნახა ასეთი გამოსავალი და ამ კითხვაზე ასე უპასუხა: შინ მწამს ღმერთი, სამსახურში კი არა! **(სიცილი დარბაზში).**

აი ამ შემთხვევაშიც, როცა დასავლეთის ქვეყნების მთავრობები ლაპარაკობენ გერმანიის საზავო ხელშეკრულებაზე, აცხადებენ — განა წარმოსადგენია, რომ გაერთიანდეს ორი გერმანია, ჩვენ ამით არა ვართ დაინტერესებული. სხვათა შორის პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმაც თქვა, რომ შეერთებულ შტატებს აშინებთ გერმანიის გაძლიერება. ამიტომ, როცა ისინი მთელ კაცობრიობას ელაპარაკებიან, აცხადებენ: დიახ, ჩვენ გვწამს ღმერთი, ხოლო როცა ერთმანეთს შორის და ადენაუერთან ლაპარაკობენ, აცხადებენ: ჩვენ ღმერთი არა გვწამსო.

დაე ეს მათ სინდისზე იყოს, ჩვენ კი აშკარად ვამბობთ, რომ გერმანიის გაერთიანების საკითხი თვით გერმანელების საკითხია, ეს ორი გერმანული სახელმწიფოს მთავრობათა საკითხია. ჩვენ ამ საქმეში არ ვერევით. მშვიდობის საკითხები კი ჩვენი საკითხებია. საბჭოთა კავშირი ომობდა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ და ამიტომ ჩვენ ვცდებით ხელი მოვაწეროთ საზავო ხელშეკრულებას. ეს ნათელია ყველასათვის. ხოლო თუ ჩვენ ხელი მოვაწერეთ საზავო ხელშეკრულებას, მაშინ დასავლეთ ბერლინშიც დამთავრდება ოკუპაციის უფლებები, რომლებიც გამომდინარეობენ გერმანიაზე გამარჯვებიდან. დამყარდება მშვიდობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ მიწაწყალზე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ნებადაურთველად ბერლინში შესვლა ჰაერით, წყლით და ხმელეთით შეწყდება. ამ შესვლის უფლება იმათ ექნებათ, ვინც მიიღებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თანხმობას. ნათლად ვლაპარაკობ?

შეძახილები: ნათლად!

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩემი აზრითაც, ნათლად. **(გამოცოცხლება დარბაზში).** ხოლო თუ ნათელი არ არის, კიდევ გავიმეორებ. როცა დავდებთ საზავო ხელშეკრულებას, მაშინ უფრო ნათელი იქნება. **(გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).**

საფრანგეთის გაზეთ „მონდის“ კორესპონდენტის მ. ტატიუს კითხვა:

ნიშნავს თუ არა, როგორც თქვენ თქვით პირველ კითხვაზე პასუხში, რომ საბჭოთა კავშირი თვითმფრინავის გამოფრენის ბაზებს დარტყმებს მიაყენებს რაკეტებით, რომლებიც აღჭურვილი იქნება ატომური ან წყალბადის იარაღით? და მეორე კითხვა. როგორ უნდა იქნენ წარმოდგენილნი სახელმწიფოები განიარაღებისადმი კონტროლის საერთაშორისო კომისიაში — თითო წარმომადგენელი ყოველი სახელმწიფოსაგან, თუ დიდ სახელმწიფოებს მეტი წარმომადგენლები ეყოლებათ?

ნ. ს. ხრუშჩოვი. რა იარაღით მივაყენებთ დარტყმებს ბაზებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოიყენებენ — ეს უკვე დეტალია, რომელიც შედის სარაკეტო შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მარშალ ნედელინის კომპეტენციაში. ჩვენ რაკეტების ასორტიმენტი საკმაო გვაქვს. **(სიცილი დარბაზში).** იგი გამონახავს შესაბამის საშუალებებს, რათა დაარტყას მოწინააღმდეგეს და ხალისი დაუკარგოს პროვოკატორებს თავს დაესხან ჩვენს ქვეყანას.

ყოველ ქვეყანას სრული შესაძლებლობა აქვს თავიდან აიცილოს ეს საპასუხო აქტი. ამისათვის საჭიროა ძალიან ცოტა რამ: არ მისცენ ამერიკელ აგრესორებს თავიანთი მიწაწყალი და თავიანთი ბაზები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსაყენებლად. ხოლო ყველაზე უკეთესია ამ ბაზების ლიკვიდაცია, და მაშინ საკითხი მთლიანად ამოიწურება. საბჭოთა კავშირი არავის არ ემუქრება. ჩვენ მხოლოდ ვაფრთხილებთ, რომ დავიცავთ თავს აგრესიის წინააღმდეგ ჩვენთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალებით.

მეორე კითხვა — განიარაღების საკონტროლო კომისიების შემადგენლობის შესახებ. მე მიმაჩნია, რომ ეს ისეთი კითხვაა, რომლის გადაწყვეტა დამოკიდებულია იმ ქვეყნებს შორის განხილვასა და შეთანხმებაზე, რომლებიც აწარმოებენ მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ.

გაზეთ „დი ველტის“ (ჰამბურგი) კორესპონდენტის გ. შევეს კითხვა:

ბატონო თავმჯდომარევ, როგორია თქვენი აზრი უშიშროების საბჭოში სსრ კავშირის იმ მიმართვის განხილვის შედეგების გამო, რომელიც ეხებოდა ამერიკის თვითმფრინავის ფრენას საბჭოთა კავშირის ტერიტორიის თავზე?

ნ. ს. ხრუშჩოვი. როცა საჭირო გახდა, რომ უშიშროების საბჭოს დაეგმო, სამარცხვინო ბოძზე გაეკრა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია, მან ამ დროს გამოიტანა რაღაც უხბილო გადაწყვეტილება. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც მძიმედ არის ავად. მიდის იგი ექიმთან, მას ესაჭიროება დაუყოვნებლივ გაუკე-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

პასუხი კორესპონდენტთა კითხვებზე

(დასასრული)

თონ რაღაც ქირურგიული ოპერაცია, ექიმი კი ეუბნება: ბატონო, ან ამხანაგო — (უფრო სწორად, ბატონო, იმიტომ, რომ ჩვენი ექიმი ასე არ ეტყვის ავადმყოფს, მხოლოდ ბურჟუაზიულ ქვეყნებში შეუძლიათ ექიმებს ასე თქვან) **(გამოცოცხლება დარბაზში)** — მე თქვენ, ბატონო, გირჩევთ დალიოთ ზელტერის ან მინერალური წყალი. ამით თქვენ შეიძლება შვება იგრძნოთ ან შეიძლება კიდევაც მოკვდეთ.

აი დაახლოებით ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო უშიშროების საბჭომ. ეს მშვიდობის ისეთივე უზრუნველყოფაა, როგორც ის, რომ მძიმე ავადმყოფს ურჩიოთ დალიოს ზელტერის წყალი. ვფიქრობ, ყველასათვის გასაგებია, რომ ზელტერის წყალიც სასარგებლოა, იგი წყურვილს კლავს, მაგრამ ვერ მკურნალობს მძიმე ავადმყოფობას, რომელიც ამ ავადმყოფს აქვს. **(სიცილი დარბაზში. ტაში).**

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტის მ. ფრენკელის კითხვა: ბატონო თავმჯდომარევ, თქვენ ახლა გვითხარით რაღაც ისეთი რამ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის პოზიციის შესახებ გერმანიის პრობლემაზე, რაც წინათ არ ვიცოდით. იქნებ გსურთ გულახდილად განაცხადოთ ამის შესახებ, იქნებ კიდევ რამე გვიამბოთ თქვენი საუბრების შესახებ ბატონ ეიზენჰაუერთან კემპ დევიდში ან შემდგომი მოლაპარაკების შესახებ?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ვფიქრობ, დღეისათვის ეს კმარა, ხოლო როცა საჭირო იქნება, შეგვიძლია კიდევ ვთქვათ. **(სიცილი დარბაზში).**

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ს. ჯონსონის კითხვა: ბატონო თავმჯდომარევ! როცა კორესპონდენტ ტატიუს უპასუხეთ თვითმფრინავების ბაზებზე წყალბადის ან ატომური იარაღით შესაძლო დარტყმის შესახებ, თქვენ თქვით, რომ მარშალ ნედელინზეა დამოკიდებული ყველაზე ეფექტიანი საშუალების, ყველაზე ეფექტიანი იარაღის ამორჩევა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მარშალ ნედელინს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით გასცეს ბრძანება წყალბადის იარაღით დარტყმის შესახებ ისე, თუ არ იქნა საბჭოთა მთავრობის წინასწარი გადაწყვეტილება?

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენ გსურთ იცოდეთ საბჭოთა შეიარაღებული ძალების სარდლობის წესები. ეს ჩვენი ქვეყნის საიდუმლოებაა. თქვენ ამერიკელი ხართ, თქვენ მაინცდამაინც საითკენმე ეტანებით, რომ ისეთი სუნი იყნოსოთ, რომელსაც ნორმალურად ვერა გრძნობთ. **(სიცილი დარბაზში).**

აი თქვენი პრეზიდენტიც ამაზე იტეხს თავს — ჯაშუშურ საქმეებზე. ჩვენში მკაფიო სარდლობაა: არის მთავრობა, რომელიც მითითებებს, განკარგულებებს აძლევს თავდაცვის მინისტრს; თავდაცვის მინისტრი ბრძანებას აძლევს ჯარებს, ჯარები კი მოვალენი არიან ზედმიწევნით ასრულებდნენ თავდაცვის მინისტრის ბრძანებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ასრულებდნენ მთავრობის მითითებას. და მე დარწმუნებული ვარ, რომ მარშალი ნედელინი, პატივცემული ადამიანი, შესანიშნავი მეომარი, საბჭოთა კავშირის გმირი, ჩინებული არტილერისტი ახლა ყველაზე უკეთ იცნობს რაკეტულ ტექნიკას, იგი ამ ტექნიკას ყველა სხვაზე უკეთ წარმართავს და უნარიანად გამოიყენებს მას ჩვენი მტრების, მშვიდობის მტრების წინააღმდეგ. მეგობრების წინააღმდეგ ჩვენ არაფერს არ მივმართავთ.

ამიტომ, მარშალ მალინოვსკის და მარშალ ნედელინს ასეთი დიდი პასუხისმგებლობა რომ არ დაეკისროთ, არ უნდა შემოფრინდეთ პროვოკაციული ჯაშუშური მიზნებით საბჭოთა კავშირში. თქვენ შეგიძლიათ მშვიდად იძინოთ, იმიტომ რომ არავინ არ გემუქრებათ, ღმერთმა დაგვიფაროს, რათ უნდა ვიმუქრებოდეთ. მაგრამ ნუ გზავნით თქვენს სამხედრო თვითმფრინავებს საბჭოთა კავშირის თავზე საფრენად, ნუ იფრენენ სოციალისტური ქვეყნების თავზე, პატივი ეცით სახელმწიფოთა სუვერენიტეტს, იცოდეთ მათი საზღვრები. არ გინდათ საზღვრები იცოდეთ — დაგარტყამთ, ჭკუას გასწავლით. **(ტაში).**

ამერიკული გაზეთის „ნეიშნლ გარდიანის" კორესპონდენტის ვ. ბერჩეტის კითხვა: პრესის ცნობების თანახმად, კანცლერი ადენაუერი ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეთაგან ერთადერთი იყო, რომელმაც მოიწონა „უ-2" თვითმფრინავების ფრენა საბჭოთა კავშირის თავზე. რა შეგიძლიათ თქვათ ამის შესახებ?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ასეთი განცხადებების გაკეთება შეუძლია გამოყეყეჩებულ ადამიანს **(სიცილი დარბაზში, ტაში)**, იმატომ რომ ვერც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი ვერ მოიწონებს ჩვენს დროში, რაკეტული და ატომური ტექნიკის ხანაში, სახელმწიფოთა სუვერენიტეტის დარღვევას, მაშასადამე, სამხედრო კონფლიქტების პროვოცირებას, რომლებიც შეიძლება კატასტროფით დამთავრდეს ხალხებისათვის. ეს შეუძლია მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელსაც არ ესმის, თუ რას უქადის ეს იმავე კანცლერ ადენაუერს. ან ეს ადამიანი, რომელიც, როგორც ამბობენ ბანქოს თამაშში ვა-ბანკს აცხადებს, დაახლოებით ასე მსჯელობს: 84 წელი მიცოცხლია, მალე სულ ერთია სამარეში ჩავალ, ჩემს შემდეგ კი ქვა ქვაზეც ნუღარ დარჩენილაო.

მაგრამ ეს არ შეიძლება ახარებდეს გერმანელებს, არ უნდა ახარებდეს დასავლეთ გერმანიის მოკავშირეებს, არამედ პირიქით. ადამიანს, რომელიც ასეთ განცხადებებს აკეთებს, დიდი ხანია საჭიროა დამამშვიდებელი პერანგი ჩააცვან და საგიჟეთში ჩასვან. აი ეს ადგილი მისთვის მართლაც შესაფერი იქნებოდა. **(მხიარული გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).**

ლონდონის გაზეთ „ობსერვერის" კორესპონდენტის ნ. ბელოვას კითხვა: ხომ არ შეგიძლიათ დააზუსტოთ განიარაღების იმ ღონისძიებათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, რომლებიც თქვენი ახალი წინადადებებით შეგაქვთ. წინადადებას იძლევით ჯერ მოისპოს მასობრივი მოსპობის იარაღის მიტანის ყველა საშუალება, ხოლო შემდეგ შეიქმნას საკონტროლო ორგანიზაცია ამ ღონისძიების შესრულების შესამოწმებლად, თუ წინადადებას იძლევით ჯერ შეიქმნას საკონტროლო ორგანიზაცია, რომელიც კონტროლს გაუწევდა იარაღის მოსპობის თვით პროცესს?

ნ. ს. ხრუშჩოვი. არა, ჩვენ მხედველობაში გვაქვს, რომ თუ შევთანხმდებით განიარაღების შესახებ, მივიღებთ პრინციპულ გადაწყვეტილებას, მაშინ შევქმნით საკონტროლო ორგანოს, რათა საკონტროლო ორგანო მონაწილეობდეს ამ შეიარაღების მოსპობის პროცესში, იმიტომ რომ სხვანაირად ნდობა არ იქნება: ერთი სახელმწიფო მოსპობს, მეორე სახელმწიფომ კი შეიძლება მოატყუოს. **(სიცილი დარბაზში).** ამიტომ საჭიროა, რომ თვითეული სახელმწიფო დარწმუნებული იყოს, ჩვენ პატიოსნად ვიმოქმედებთ, ჩვენ ისე როდი ვიმოქმედებთ, როგორც ამერიკის მთავრობა, ჩვენ საბჭოთა ადამიანები, პატიოსანი ადამიანები ვართ!

ახლა მათთან ძალიან თავისებური მორალი ყალიბდება. ეტყობა, რომანების მთელი სერიაც კი გაჩნდება. ისინი ჯაშუშობას კი არ გმობენ, არამედ ამბობენ: ეს ბინძური საქმეა, ამიტომ პრეზიდენტი ჯაშუშობაში არ უნდა გამოტეხილიყოო. იმიტომ რომ ჯაშუშობა დაკავშირებულია მკვლელობებთან, მოწამვლასთანო და ასე შემდეგ. ამიტომ ჯაშუშობისა და მკვლელობის ჩადენა შეიძლება და საჭიროა, — ისინი პირდაპირ ასე ამბობენ, — მაგრამ ამაში არ უნდა გამოტყდეო.

ჩვენ ასე არ ვფიქრობთ, ჩვენ ასეთ მორალს უარვყოფთ. ჩვენ მაღალი მორალის ადამიანები ვართ და გვჯერა, რომ ეს მორალი იბატონებს არა მარტო სოციალისტურ ქვეყნებში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. კომუნიზმი გაიმარჯვებს და გაიმარჯვებს ადამიანის საღი გონება!

და ამ საკითხში მე კვლავ ვამბობ, ჩვენ პატიოსნად ვიმოქმედებთ, რომ იყოს განიარაღებისა და ომის და მიტანის საშუალებათა მოსპობის პროცესისათვის კონტროლის გაწევის თანაბარი უფლებანი და თანაბარი შესაძლებლობანი.

საკდესის კორესპონდენტის მ. გერასიმოვის კითხვა: ამხანაგო თავმჯდომარევ! ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ამბობდა, რომ ამერიკა „ღია ცის" საკითხს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე გამოიტანს. ამით ამერიკის შეერთებული შტატები მთლიანად დაკარგავენ თავიანთ ავტორიტეტს საზოგადოებრივი აზრის თვალში. როგორია თქვენი აზრი ამის თაობაზე?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს შეუძლია ყველაფერი გააკეთოს, რასაც მოისურვებს წინადადებათა შეტანის აზრით, ეს არის და ეს. სხვა საქმეა — დაეთანხმება ჩვენი მთავრობა ამ წინადადებას თუ არა. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ეს სულელური წინადადებაა. 1955 წელს ჟენევაში მე ვუთხარი პრეზიდენტს, რომ ეს ჯაშუშური წინადადებაა, ჩვენ არასოდეს არ დავეთანხმებით მას. იგი ცდილობდა თავისი აზრი დაემტკიცებინა ჩემთვის.

ვფიქრობ, რომ როცა პრეზიდენტი პრეზიდენტად აღარ იქნება და თუ იგი მოისურვებს ჩვენთან იმუშაოს, ჩვენ შეგვეძლებოდა მიგვენდო მისთვის საბავშვო სახლის გამგის თანამდებობა (დარწმუნებული ვარ, რომ იგი ბავშვებს არ აწყენინებდა). მაგრამ ასეთი ადამიანი სახელმწიფოს რომ მართავს, ეს საშიშია, იმიტომ რომ მან შეიძლება ისე არივ-დარიოს საქმე, რომ შემდეგ ვეღარ გაერკვევი. მე ასე ვამბობ იმიტომ, რომ ვიცნობ მას. მე ვაკვირდებოდი მას 1955 წელს ჟენევის თათბირზე, და მწყინდა, რომ პრეზიდენტი ასეთია. მოლაპარაკების მაგიდასთან ამერიკელების პირდაპირ ინგლისელები ისხდნენ, ჩვენ ფრანგების პირდაპირ გვეჭირა ადგილი. დალესი პრეზიდენტის მარჯვნით იჯდა. როცა პრეზიდენტი უნდა გამოსულიყო, დალესი მას ბარათებს უწერდა. ზრდილობისათვის მაინც მიბრუნებულიყო და გასცნობოდა ბარათს, ის კი პირდაპირ აიღებდა ამ ბარათს, წაიკითხავდა და გადადებდა. შემდეგ, როცა პრეზიდენტს კვლავ უნდა ელაპარაკნა, იგი ისევ დალესის მიერ მომზადებულ შემდგომ ბარათს აიღებდა.

აბა, ამხანაგებო, ბატონებო, აქ უნებურად იბადებოდა კითხვა, ვინ მართავს სახელმწიფოს, საით მივდივართ? ასეთმა პრეზიდენტმა ხომ ღმერთმა იცის რა გადაწყვეტილებები შეიძლება მიიღოს, ეს კი უზარმაზარი, დიდი, მძლავრი ქვეყანაა. ამიტომ საშიშია, რომ ასეთი მძლავრი ძალა ასეთ ხელშია. მოკვდა ფოსტერ დალესი, დარჩა ალენ დალესი, მაგრამ საქმე დალესი როდია: რაკი სიცარიელეა, მას ვინმე შეავსებს, მაგალითად, ნიქსონი, ჰერტერი.

მე ახლა სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში დაკითხვების მასალებს ვკითხულობ. რაც უნდა იყოს გამწვავებული მდგომარეობა, პრეზიდენტმა კი აიღო და გოლფის სათამაშოდ წავიდა.

ამხანაგებო, ბატონებო. მართლაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ასეთი პარტნიორი მართვისათვის არ ვარგა. მაგრამ ჩვენ ვერაფერს ვერ ვიზამთ, ეს ამერიკელი ხალხის საქმეა. ჩვენ გვჯერა, რომ ამერიკელი ხალხი სწორ დასკვნებს გააკეთებს. იქ გენიალური ადამიანები არიან, ამერიკას ჰყავდა თავისი პრეზიდენტები, რომლებითაც იგი ამაყობს და რომლების წინაშე ჩვენ ახლა ქუდს ვიხდით და დაბლა ვხრით თავს — ლინკოლნისა და სხვების წინაშე. მაგრამ ახლანდელი პრეზიდენტის წინაშე თავს არავინ დახრის. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, შფოთიანი დროებაა; ეიზენჰაუერის პრეზიდენტობის პერიოდი შფოთიანი დროებაა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთელი მსოფლიოსათვის. **(გამოცოცხლება დარბაზში, ხანგრძლივი ტაში).**

რუსეთმაც ოდესღაც წარსულში გაიარა შფოთიანი დროება, მაგრამ შემდეგ იგი ორგანიზებული და მოწესრიგებული სახელმწიფო გახდა, როგორიც განსაკუთრებით დღეს არის, კარგი სახელმწიფო გახდა! სწორია? **(მქუხარე ტაში).**

ამერიკული გაზეთის „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" კორესპონდენტის ტ. ლამბერტის კითხვა: პარიზში თქვენ თქვით, რომ თქვენი დამოკიდებულება „უ-2"-ის ფრენისადმი ნაწილობრივ გამოწვეულია სსრ კავშირში არსებული საშინაო პოლიტიკური ვითარებით. იქნებ აგვიხსნიდით, რა გქონდათ მხედველობაში, ასეთ ფრაზას რომ ამბობდით?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ასეთი განცხადება პარიზში მე არ გამიკეთებია და არ ვიცი, საიდან გაჩნდა იგი. პირდაპირ არ მესმის კითხვა და ამიტომ მიჭირს გიპასუხოთ. რა დამოკიდებულება აქვს ჩვენს საშინაო მდგომარეობას ამერიკული თვითმფრინავის „უ-2"-ის ფრენასთან. (ეს არის, როგორც ჩვენში იტყვიან, „ფაშატს კუდი მიაკერეო". **(სიცილი დარბაზში).**

ინდოეთის გაზეთის „ნიუ-ეიჯის" კორესპონდენტის ალი-ხანის კითხვა: მიგაჩნიათ თუ არა თქვენ, რომ ომი გარდუვალია იმდენად, რამდენადაც არსებობს იმპერიალიზმი, და დაადასტურა თუ არა უკანასკნელი თვის ამბებმა ეს დასკვნა?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ამ საკითხზე ჩვენ საკმაოდ მკაფიოდ გამოვთქვით აზრი სკკპ XX ყრილობაზე. ჩვენ ახლაც ამ პოზიციებზე ვდგავართ. არაფერი არ შეცვლილა, იმისათვის, რომ შევცვალოთ ჩვენი აზრი იმაზე, რომ ომი გარდუვალი არ არის. პირიქით, ცხოვრება სწორედ ადასტურებს ამას.

რადიოთი უკანასკნელი ცნობების კორესპონდენტის ი. ფოკინის კითხვა. (მოსკოვი): ამხანაგო თავმჯდომარევ! ზოგიერთი ამერიკელი მიმომხილველი ამტკიცებს, რომ თქვენი განცხადებებით ეიზენჰაუერის, ნიქსონის, დილონის შესახებ თქვენ თითქოს ცდილობთ გავლენა მოახდინოთ ამერიკის შეერთებულ შტატებში საარჩევნო კამპანიის მსვლელობაზე. რა შეგიძლიათ თქვათ ამასთან დაკავშირებით?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ამბობენ, რომ ამერიკაში თითქოს შეიძლება ისეთი ვითარება შეიქმნას, როცა სწორედ ის, ვისაც ჩვენ ყველაზე მეტად ვლანძღავთ ან, ასე ვთქვათ, „ვამუშავებთ" საბჭოთა კავშირში, ყველაზე შესაფერი კანდიდატურა გახდება პრეზიდენტის პოსტზე. თუ ამ მტკიცებას გავყვებით, მაშინ მე მიმაჩნია, რომ ყველაზე უკეთესი კანდიდატურა ნიქსონია.

მაგრამ მე აღარ დავუმატებ იმას, რაც უკვე ნათქვამია. ვის აირჩევენ ამერიკელები, ეს მათი საქმეა, მათი გემოვნების საქმეა, როგორც იტყვიან, კაცია და გუნებაო, ვისაც რა მოსწონს.

ჩვენ ცუდად როდი ვცხოვრობდით, როცა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში დალესი იყო. რამდენი სისულელე ჩაიდინა მან, ხოლო მოწინააღმდეგის ყოველი სისულელე დახმარებაა ჩვენთვის. ამიტომ თუ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად ნიქსონი იქნება, ჩვენ ცუდი როდი მოგვივა რამე, იმიტომ რომ ჩვენ ამერიკის შეერთებული შტატების წყალობის მოხებით როდი ვცხოვრობთ. ჩვენ ვეყრდნობით ჩვენს ხალხს, ჩვენს ეკონომიკას, ჩვენს პოლიტიკურ შეხედულებებს და წინ მივდივართ. ნიქსონი იქნება ეს თუ, როგორც რუსები ამბობენ, ეშმაკი თუ ქაჯი — ჩვენთვის სულ ერთია. ჩვენ წინ მივდივართ. რა თქმა უნდა, სჯობს ჭკვიანი იქნეს; მე მაინც ვამჯობინებ საქმე მქონდეს ჭკვიან პარტნიორთან. **(სიცილი დარბაზში).** მაგრამ თუ, როგორც იტყვიან, ღმერთმა არა ქნა, ჩვენ ამას ვერ ვუშველით. ზოგჯერ ქალიშვილი ჭკვიან საქმროს ეძებს. ვიღაცას აირჩევს, შესახედავად საქმრო თითქოს ჭკვიანია, შემდეგ კი ფშუტი აღმოჩნდება; მაგრამ ქალიშვილი იძულებულია შეურიგდეს ამას, რას იზამს.

პრეზიდენტის არჩევა ამერიკელი ხალხის საშინაო საქმეა. ვფიქრობ, რომ ამერიკელ ხალხს ჩვენზე უკეთ ესმის თავისი ინტერესები.

იუგოსლავიის რადიომაუწყებლობის კორესპონდენტის უ. სტეკიჩის კითხვა: ამხანაგო თავმჯდომარევ, ამას წინათ გორკის სახელობის პარკში კითხვაზე საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ თქვენ თქვით, რომ გაუსწორებელი ოპტიმისტი ხართ. როგორ უყურებთ ახლა საერთაშორისო ვითარებას და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებას?

ნ. ს. ხრუშჩოვი. მე ახლაც ამ პოზიციაზე ვდგავარ. დარწმუნებული ვარ, რომ თუ ყველა ქვეყნის ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ, თუ შეაკავებენ აღვირახსნილ აგრესორებს და იმ უგნურ ხელმძღვანელებს, რომლებიც შესაძლებელს ხდიან შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებმაც შეიძლება სამხედრო კონფლიქტი გამოიწვიოს, მე დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს. ჩვენ კი ჩვენი მხრივ ყველაფერს გავაკეთებთ ამ მიმართულებით. ვფიქრობ, რომ ასეთსავე პოლიტიკას დაიცავს ყველა ხალხი, მსოფლიოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა. და მე ხაზგასმით აღვნიშნავ, — ამერიკელი ხალხიც აღშფოთებულია იმით, რაც იქნა დაშვებული. იმაზე, რაც მოხდა, შესაძლოა, სხვანაირად ფიქრობს ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელიც ამ საქმით მდიდრდება, შემდეგ პოლიტიკანები და ის ნაწილი, რომელიც პოლიტიკურ დავაში ვერ ერკვევა. მაგრამ ისინიც, ვინც განიცდის, რადგან დაბნეულია ვითარების გაუარესების მიზეზების საკითხში, ბოლოს და ბოლოს გაერკვევა. ადამიანები მიხვდებიან, სად არის მართალი, და სად არის ტყუილი, ნამდვილად ვის მიუძღვის ბრალი შექმნილ მდგომარეობაში.

ასე რომ მე მიმაჩნია, რომ თუ ყველანი მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლის პოზიციებზე ვიდგებით, უზრუნველვყოფთ მშვიდობას, ამაში დარწმუნებული ვარ. მინდა მივმართო ინგლისელ და ფრანგ კორესპონდენტებს. თქვენი ქვეყნები ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეები არიან სამხედრო ბლოკებით, მაგრამ სსრ კავშირში ამერიკის თვითმფრინავის პროვოკაციული შემოჭრის შეფასებაში აზრთა სხვადასხვაობა აქვთ ინგლისელებსაც და ფრანგებსაც. ბატონ მაკმილანსა და ბატონ დე გოლს გამბედაობა და მამაცობა არ ეყოთ თავისი სახელები ეწოდებინათ საგნებისათვის და სამარცხვინო ბოძზე გაეკრათ აგრესორი, მაგრამ მათ მაინც სოლიდარობა არ გამოუცხადებიათ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ამ საქმეში. ყველას, ვისაც კი გაგების უნარი აქვს, ესმის, რას ნიშნავს ეს. მე მინდა, რომ თქვენ სწორად გამიგოთ.

ამბობენ, ხრუშჩოვი მკვეთრად გამოდის ეიზენჰაუერისა და სხვების წინააღმდეგო. მაგრამ გაიგეთ ჩემი მდგომარეობა. მინდა გნახოთ ჩემს მდგომარეობაში. როგორ მოიქცეოდით თქვენ, ჩვენს თვითმფრინავს რომ ეფრინა ნიუ-იორკის თავზე, სან-ფრანცისკოს თავზე. როგორ მოიქცეოდით, ჩვენ რომ ამის შემდეგ განგვეცხადებინა: ვფრინავდით, ვფრინავთ და კვლავაც ვიფრენთო. ეს აღმაშფოთებელი იქნებოდა... და მე მაკვირვებს, ამერიკის შეერთებული შტატების ამ პროვოკაციის შემდეგ ეიზენჰაუერს კიდევ როგორ უნდოდა ჩამოსულიყო ჩვენში. ჯერ კიდევ პარიზში მომმართეს, რომ ჩვენ მიგვეცა ვიზა იმ თვითმფრინავის ეკიპაჟისათვის, რომლითაც საბჭოთა კავშირში გამოფრენას აპირებდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი. ძნელია ასეთი პოზიციის გაგება. სადაც ადამიანმა საძაგლობა ჩაიდინა, იქ ხომ არ მიდის იგი სასადილოდ. ეს ხომ ელემენტარული რამ არის. ამის შემდეგ როგორღა უნდა ჩამოსულიყო ჩემთან სადილად პრეზიდენტი, რომელმაც ასეთი პროვოკაცია ჩაიდინა საბჭოთა კავშირის მიმართ? როგორღა უნდა გავმასპინძლებოდი მას? ყველა მიმიხვდება.

მე მოვუწოდებ ყველა პატიოსან ადამიანს: მოდით გავაერთიანოთ ჩვენი ღონისძიებანი აგრესორების წინააღმდეგ, რომლებიც არ დგანან მშვიდობიანი თანაარსებობის პოზიციებზე, რომლებიც პროვოკაციულად იწვევენ „ცივ ომს", რათა იგი ცხელ ომად გადაიქცეს. თუ ამ ღონისძიებებს გავაერთიანებთ, მშვიდობა უზრუნველყოფილი იქნება. საბჭოთა კავშირი, ყველა საბჭოთა ადამიანი სწორედ აქეთ მიმართავს თავის ღონისძიებებს. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ მთელი ჩვენი ხალხი, ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხები და მშვიდობის უზრუნველყოფის პოზიციებზე მდგომი ყველა ადამიანი გააერთიანებენ თავიანთ ღონისძიებებს და უზრუნველყოფენ მშვიდობას. **(მქუხარე ტაში).**

„იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის" კორესპონდენტის ჰ. შაპიროს კითხვა: თუ მხედველობაში მივიღებთ იმ დაძაბულობას, რომელიც პარიზის თათბირის ჩაშლის შედეგად შეიქმნა, მაინც შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა თქვენ დასავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის შემდგომი განვითარება?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ რარიგ წამხდარიც უნდა იყოს ახლა ჩვენი ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, იგი, ვფიქრობ, დროთა განმავლობაში გაუმჯობესდება. და ჩვენ გვწამს, რომ ეს გაუმჯობესება უფრო საგრძნობლად, როგორც ჩანს, დადგება არჩევნების შემდეგ, იმიტომ რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნების წინ ყოველთვის, კარგი პრეზიდენტის დროსაც, ტემპერატურა აიწევს ხოლმე, ხოლო იმ პირობებში, რომლებიც დღეს შეიქმნა, ამერიკის შეერთებულ შტატებში სპეციალურად მომზადებულია განსაკუთრებული ვითარება. ახლა ჩვენი ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ცუდია. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ იგი გაუმჯობესდება.

ვაჭრობის საკითხი. ვფიქრობ, რომ ჩვენი სავაჭრო ურთიერთობა ინგლისთან, საფრანგეთთან, იტალიასთან, დასავლეთ გერმანიასთან ჯერჯერობით ცუდად როდი ვითარდება. ჩვენ გვინდა, რომ იგი უკეთ ვითარდებოდეს; და მე ვფიქრობ, რომ საქმიანი ადამიანები ინტერესს იჩენენ ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისადმი. და ჩვენ ჩვენი მხრივ მივესალმებით ამას და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ჩვენი ეკონომიური ურთიერთობა მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს.

ახლა შევეხოთ კულტურული დელეგაციებისა და კულტურული ფასეულობების გაცვლის საკითხს. ვფიქრობ, რომ ჩვენში ეს პროცესიც არ წყდება. არ ვიცი, როგორ მოიქცევიან შეერთებული შტატები, იქნებ მათ შეზღუდვის რაიმე ღონისძიებანი განახორციელონ. ჩვენ კი არაფერს ასეთს არ ვაკეთებთ. ჩვენი მეცნიერების, მსახიობების ყველა დაგეგმილი გამგზავრება ჯერჯერობით ხორციელდება, ჩვენი საბჭოთა ადამიანები იღებენ ვიზებს ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

ვფიქრობ, რომ საღი გონება შემდეგშიც გაიმარჯვებს, ჩვენ არ უნდა გამოვიყენოთ კონფლიქტი, რომელიც აგრესიულმა ძალებმა შექმნეს, არ უნდა ავყვეთ ამ აგრესიულ ძალებს და არ შევქმნათ დაძაბულობის პირობები, რომლებიც გამოიწვევდნენ „ცივი ომის" დამთავრებას ცხელი ომით. ეს სულელური პოლიტიკაა, ეს ანტიხალხური პოლიტიკაა.

ამიტომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ უმჯობესდებოდეს ურთიერთობა ჩვენს სახელმწიფოებს შორის და საერთოდ ყველა სახელმწიფოს შორის. და მე ვფიქრობ, რომ გაკვეთილი, რომელიც თავიანთ თავს მისცეს პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა, ნიქსონმა და ჰერტერმა, ახლა მათთვისაც არასასიამოვნოა. ისინი ჩაეფლნენ ჯაშუშობის საქმეში. ვფიქრობ, რომ ეს გაკვეთილი იქნება ამერიკის შეერთებული შტატების სხვა პოლიტიკოსებისათვისაც, ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებისთვისაც.

ასე რომ ჩვენ ვფიქრობთ და გვინდა იმედი გვქონდეს, — მართალია, ეს მარტო ჩვენს მხარეზე როდია დამოკიდებული — ეს ორმხრივი აქტია, — რომ ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა კვლავაც გაუმჯობესდება. ჩვენ ამ პოზიციებზე ვდგავართ და კვლავაც ვიდგებით.

მაგალითად, ჩემთვის სასიამოვნო იყო, ამ ორი დღის წინათ ამერიკელ ტურისტთა ჯგუფს რომ შევხვდი კრემლში. ისინი კრემლის ღირსშესანიშნაობებს ათვალიერებდნენ. მე ვესაუბრე მათ, ვკითხე:

— თავს როგორ გრძნობთ მოსკოვში?

მათ მიპასუხეს:

— კარგად. ჩვენდამი დამოკიდებულება კარგია.

და ეს სწორია. ჩვენი დამოკიდებულება ამერიკელი ხალხისადმი მუდამ კარგი იყო და იქნება.

ამხანაგებო, ბატონებო, ვფიქრობ, თქვენი სადილობის დროა. **(მხიარული გამოცოცხლება დარბაზში. სიცილი).** მე უნდა ვზრუნავდე თქვენი ჯანმრთელობისათვის, რათა ძალები გქონდეთ აგრესორების წინააღმდეგ, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის საბრძოლველად. **(ტაში).**

ახლა, პრეს-კონფერენციის დამთავრების შემდეგ, თქვენ მიიღებთ ჩვენი წინადადებების ტექსტს რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. გთხოვთ კარგად შეისწავლოთ ისინი, დაუფიქრდეთ და მხარი დაგვიჭიროთ, იმიტომ რომ თქვენც, ისევე როგორც ყველა ადამიანი, დაინტერესებული ხართ მშვიდობის უზრუნველყოფით.

გისურვებთ წარმატებებს.

ნახვამდის. **(მქუხარე ტაში).**

ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი

ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ლიდერებისადმი

ამა წლის 19 მაისს პარიზში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნის დროს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ საფრანგეთში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დ. ეიზენჰაუერის დავალებით საბჭოთა კავშირის პარიზის საელჩოს მეშვეობით ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ლიდერების რეიბერნის, ჯონსონის, სტივენსონისა და ფულბრაიტის ქვემოთ მოყვანილი მიმართვა პრეზიდენტ ეიზენჰაუერისადმი:

„როგორც შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ლიდერები დაბეჯითებით გთხოვთ გადასცეთ პრემიერ ხრუშჩოვს ჩვენი ქვეყნის ოპოზიციური პარტიის თვალსაზრისი, რომ მან გადასინჯოს თავისი წინადადება უმაღლესი დონის თათბირის გადადების შესახებ ჩვენს ქვეყანაში ეროვნული არჩევნების დამთავრებამდე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ თათბირის სრული ჩაშლა და მზარდი უნდობლობა ორივე მხრივ სერიოზული და დიდად შემაშფოთებელი ფაქტორი იქნება მთელი მსოფლიოსათვის.

მთელ ამერიკელ ხალხს სერიოზულად სურს მშვიდობა, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესება. გთხოვთ როგორც ჩვენი ხალხის ლიდერს გადასცეთ ეს თვალსაზრისი ბ-ნ ხრუშჩოვს".

ქვემოთ მოყვანილია ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი რეიბერნის, ჯონსონის, სტივენსონისა და ფულბრაიტისადმი.

პატივცემულო ბატონებო!

თქვენი წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სახელზე, რომელშიც სთხოვდით პრეზიდენტს ეცნობებინა ჩემთვის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტია წინააღმდეგია უმაღლესი დონის თათბირის გადადებისა, გადმომცეს ამერიკის შეერთებული შტატების საფრანგეთის საელჩოს მეშვეობით 19 მაისს, ესე იგი უკვე მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა თავისი უარით იმაზე, რომ ეცნო ჩვენს სახელმწიფოებს შორის ნორმალური ურთიერთობის ელემენტარული პირობები, ჩაშალა თათბირი. მიუხედავად ამისა, მინდა გადმოგცეთ ჩემი მოსაზრებანი თქვენს წერილში აღძრულ საკითხებზე.

საბჭოთა მთავრობა წუხს, რომ მთავრობათა მეთაურების თათბირი არ გამართა. საბჭოთა კავშირის ხალხები დიდ იმედს ამყარებდნენ ამ თათბირზე, მიაჩნდათ იგი მნიშვნელოვან და დიდ ნაბიჯად მომწიფებული საერთაშორისო საკითხების გადაჭრის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე, რაკეტულ-ატომური ომის იმ საფრთხის ლიკვიდაციის გზაზე, რომელიც მსოფლიოს ემუქრება. საბჭოთა მთავრობა, თავის მხრივ, ცდილობდა გაეკეთებინა ყოველივე შესაძლებელი, რათა ხელი შეეწყო უმაღლესი დონის თათბირის მოწვევისა და მისი მუშაობის წარმატებისათვის, კერძოდ მოამზადა კონსტრუქციული წინადადებანი ყველა ძირითად საკითხზე, რომლებიც უნდა განხილულიყო ამ თათბირზე.

მაგრამ მოვლენების განვითარება არ წავიდა იმ მიმართულებით, რომელიც სურდათ საბჭოთა მთავრობასა და ჩვენი ქვეყნის ხალხებს. ვფიქრობ, საჭირო არ არის დაწვრილებით შევჩერდე იმაზე, თუ როგორ და ვინ ჩაშალა უმაღლესი დონის თათბირი — ახლა მთელმა მსოფლიომ იცის, რომ არა საბჭოთა კავშირის მთავრობამ, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ აკისრია პასუხისმგებლობა ამისათვის. თათბირის ჩაშლა გამოიწვია შეერთებული შტატების მთავრობის მთელმა წყება ღონისძიებებმა, რომელთა მიზანი იყო საერთაშორისო ვითარების გამწვავება და „ცივი ომის" გაძლიერება. ამ ღონისძიებათა შორის იყო საბჭოთა კავშირის მიმართ სახელმწიფო მდივნის ჰერტერის, მისი მოადგილის დილონის, ვიცე-პრეზიდენტის ნიქსონის აშკარად მტრული გამოსვლები, რომლებიც ცნობილია თქვენთვის და რომლებსაც მხარი დაუჭირა პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა, აგრეთვე პროვოკაციული სამხედრო განგაში და პრეზიდენტის განცხადება ატომგულის იარაღის გამოცდის განახლების შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ხაზი, რომ ჩაეშალა უმაღლესი დონის თათბირი, ყველაზე მკაფიოდ იყო გამოხატული ვერაგული და აგრესიული აქტით ჩვენი ქვეყნის მიმართ — ამერიკის სამხედრო მზვერავი თვითმფრინავების შემოჭრით საბჭოთა კავშირის ფარგლებში. ვერავინ ვერ უარყოფს, რომ ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ წინასწარ დაგეგმილი მოქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საბჭოთა კავშირის სუვერენიტეტს, აგრესიის პირდაპირი აქტები სსრ კავშირის წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საყოველთაო მშვიდობას. და პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა არა მარტო უარი თქვა დაეგმო ეს აგრესიული მოქმედება და დაესაჯა უშუალო დამნაშავეები, არამედ განაცხადა, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების ფრენა საბჭოთა ტერიტორიის თავზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო პოლიტიკას წარმოადგენს!

რის მომასწავებელი იქნებოდა ამ პირობებში საბჭოთა კავშირის მონაწილეობა ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა თათბირში? ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ წაგვექეზებინა ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტული წრეების აგრესიული პოლიტიკა, დავხმარებოდით მათ იმაში, რომ მშვიდობის შესახებ მოლაპარაკების საფარით განეხორციელებინათ ომის პოლიტიკა, გვეცნო, რომ ამერიკის სამხედრო წრეებს უფლება აქვთ უხეშად გათელონ ფეხქვეშ საბჭოთა კავშირის სუვერენიტეტი. ეს იქნებოდა აგრეთვე თანხმობა მონაწილეობა მიგვეღო მოლაპარაკებაში არათანასწორუფლებიან, სუვერენული სახელმწიფოსათვის დამამცირებელ პირობებში.

ბუნებრივია, რომ შექმნილ ვითარებაში თათბირი ვერ გაიმართებოდა, ამასთან მთელი პასუხისმგებლობა მისი ჩაშლისათვის აკისრია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას.

რა მოხდება შემდეგ? ახლა როგორ წარიმართება საერთაშორისო ვითარება?

თუ ვილაპარაკებთ საბჭოთა კავშირზე, იგი თავის საგარეო პოლიტიკას კვლავაც დაუდებს საფუძვლად მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს, იბრძოლებს მომწიფებული საერთაშორისო საკითხების გადაჭრისათვის მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკების გზით. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მშვიდობის ჩვენი პოლიტიკა შეესაბამება მთელი კაცობრიობის ინტერესებს, რომლისთვისაც ჩვენს დროში არ შეიძლება იყოს უფრო საშინელი კატასტროფა, ვიდრე ახალი მსოფლიო ომი.

მაგრამ თქვენთვის გასაგები უნდა იყოს, რომ ყველაფერი საბჭოთა კავშირზე როდია დამოკიდებული, ბევრი რამ დამოკიდებული იქნება ამერიკის შეერთებულ შტატებზე და მათ მთავრობაზე. სამწუხაროდ, ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელმა მთავრობამ ცხადყო, რომ იგი ესწრაფვის არა ჩვენს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას, არამედ იმას, რომ მოსპოს ის დადებითი შედეგები, რომლებიც საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში მიღწეულ იქნა უკანასკნელ წელს და, განსაკუთრებით, პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან ჩვენი შეხვედრებისა და საუბრების შედეგად შარშან სექტემბერში ჩემი ყოფნის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ აგრესიისა და პროვოკაციების დოქტრინა, რომელიც ამჟამად გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, არ არის ამერიკელი ხალხის ქმნილება, რომ იგი არ შეესაბამება ამერიკელი ერის დიდ დემოკრატიულ ტრადიციებს, ვაშინგტონისა და ჯეფერსონის, ლინკოლნისა და ფრანკლინ რუზველტის ტრადიციებს. ამიტომ გასაგებია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ფართო საზოგადოებრივი წრეები და ბევრი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე სერიოზულად შეშფოთებულია ამერიკის ახლანდელი მთავრობის საგარეოპოლიტიკური კურსით, რომელიც საშიშია მშვიდობის საქმისათვის და რომელმაც ჩაშალა უმაღლესი დონის თათბირი.

ამერიკის შეერთებული შტატების საღად მოაზროვნე წრეები ითვალისწინებენ, რომ საბჭოთა ხალხსა და ამერიკელ ხალხს ჰყავთ ერთი საერთო მტერი: ომის საფრთხე და რომ ამ მტრის დამარცხება შეიძლება მხოლოდ ერთობლივი ღონისძიებებით. ამ წრეების პოზიციას ღრმა ნიადაგი აქვს. თუ საღად მივუდგებით საქმეს, ამერიკელ ხალხსა და საბჭოთა ხალხს შორის ობიექტურად ხომ არ არსებობს წინააღმდეგობანი, ჩვენს დიდ ხალხებს არა აქვთ მიზეზი შეეტაკონ ერთმანეთს, მათ აქვთ ვრცელი ტერიტორიები, მდიდარი ბუნებრივი რესურსები და რაც მთავარია — შეგნებული აქვთ, თუ რა კატასტროფულ შედეგებს მოუტანდა მსოფლიოს რაკეტულ-ატომური ომი, რომლის მზადებას ხმარდება იმათი მისწრაფებანი, ვინც ჩაშალა უმაღლესი დონის თათბირი.

ამერიკელებს, როგორც ამაში დავრწმუნდი ჩემი ვიზიტის დროს შეერთებულ შტატებში, იმდენადვე სწყურიათ მშვიდობა და უშიშროება, რამდენადაც საბჭოთა ადამიანებს. თქვენ, ბატონებო რეიბერნ, ჯონსონ, სტივენსონ, ფულბრაიტ, აგრეთვე აღნიშნავთ თქვენს წერილში: „მთელ ამერიკელ ხალხს სერიოზულად სწყურია მშვიდობა, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესება". კმაყოფილებით აღვნიშნავ ამ თქვენს განცხადებას და მივესალმები მას.

ჩვენ ვიცით, რომ თქვენს ქვეყანაში არსებობს ორი მთავარი პოლიტიკური პარტია, მაგრამ ამბობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა ორპარტიულია. ჩვენთვის ძნელია ამაში გარკვევა. ეს თქვენი საშინაო საქმეა, ხოლო სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩვენ, როგორც ცნობილია, არ ვერევით. სამაგიეროდ ჩვენ, ისევე როგორც თქვენ, კარგად ვიცით, რომ ხალხები, რომლებიც სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებით და განმტკიცებით, მთავრობებსა და პარტიებზე მსჯელობენ უწინარეს ყოვლისა მათი მზადყოფნით ნამდვილად განახორციელონ მშვიდობისა და სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა.

შემიძლია დაგარწმუნოთ, პატივცემულო ბატონებო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ყველა ნაბიჯს, რომლის მიზანი იქნება ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფა, საბჭოთა კავშირში შეხვდება თანაგრძნობა და ყოველმხრივ მხარდაჭერა.

პატივისცემით

ნ. ხრუშჩოვი.

1960 წლის 30 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა კრება, რომელიც მიეძღვნა კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირზე საქართველოს სს რესპუბლიკიდან წარგზავნილებთან შეხვედრას. სურათზე: დელეგატები კრების მონაწილეთა შორის.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

გამოვჭედლოთ კომუნისტური შრომის გამარჯვება

შეხვედრა კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეებთან

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიდებულმა ამოცანებმა წარმოშვეს მასების ახალი ინიციატივა — კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების მოძრაობა. ისინი, მომავლის მზვერავები იბრძვიან, რათა განახორციელონ ლენინური ანდერძი — ვისწავლოთ კომუნისტურად მუშაობა და ცხოვრება. კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც მოსკოვში გაიმართა და მათი შეხვედრა ნ. ს. ხრუშჩოვთან იყო საბჭოთა ხალხის ერთიანობის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მისი მჭიდრო შეკავშირების, კომუნიზმის იდეებისადმი მისი ერთგულების შესანიშნავი დემონსტრაცია.

მოსკოვის თათბირში მონაწილეობა მიიღო ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა ჯგუფმა. ზოგიერთმა მათგანმა შრომაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისა და კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების ორგანიზაციაში ინიციატივის გამოჩენისათვის სამშობლოს მაღალი ჯილდოები მიიღო.

საქართველოს მშრომელები სიხარულითა და სიამაყით შეხვდნენ თავიანთ წარგზავნილებს, რომლებიც 3 ივნისს დაბრუნდნენ მოსკოვიდან. თბილისის ვაგზალში მათ საზეიმო შეხვედრა მოუწყეს. 4 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა კრება, რომელიც მიეძღვნა კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეთა შეხვედრას.

შეხვედრაში, რომელიც გადაიქცა რესპუბლიკის მშრომელების მიერ შვიდწლედის გმირთა მხურვალე პატივისცემად, მონაწილეობა მიიღეს წარმოების მოწინავე მუშაკებმა, სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტის, მშენებლობის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების კომუნისტური შრომის ბრიგადების წევრებმა და დამკვრელებმა, პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა აქტივმა, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების მოღვაწეებმა.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, მ. ი. კუჭავა, მ. მ. ლელაშვილი, გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ე. ა. შევარდნაძე**, კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეები, სოციალისტური შრომის გმირები, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მინისტრები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ **მ. მ. ლელაშვილმა.** იგი ლაპარაკობს კომუნიზმის მშენებელი მილიონობით ადამიანის დიად შემოქმედებითს შრომაზე. ამხ. ლელაშვილი რესპუბლიკის მშრომელთა სახელით მხურვალედ მიესალმება კრების მონაწილეებს და მათი სახით საქართველოს მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის ყველა სახელოვან მოწინავესა და ნოვატორს.

ამხ. გ. გეგეშიძის სიტყვა

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირის მუშაობას.

ჩვენ მივესალმებით ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან წარმომადგენლებს — სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეებს და მათთან ერთად მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მრავალათასიან არმიას. სულით და გულით გისურვებთ თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, ახალ, კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს შრომაში, სწავლაში, სიხარულსა და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა დიდად აფასებენ საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი აზრის გამბედაობას, შემართებას, თავდადებულ შრომას, და შემთხვევითი როდია, რომ კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების ბევრ მოწინავეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება, დაჯილდოებულია მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“.

ჩვენ გვიხარია, რომ გმირებსა და მედლებით დაჯილდოებულებს შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც არიან.

სოციალისტური შრომის გმირები არჩილ ძამაშვილი და შოთა კუბლაშვილი თავმდაბალი, შესანიშნავი მშრომელები არიან. მათ თავდადებული შრომისათვის მიენიჭათ მაღალი წოდება. დაჯილდოებულთა შორის არიან მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობათა ნოვატორები.

ნება მიბოძეთ ამ ტრიბუნიდან მოგილოცოთ, ძვირფასო ამხანაგებო, მთავრობის მაღალი ჯილდოები. ეს ბევრ რამეს გვავალებს, და არა მარტო თქვენ, არამედ რესპუბლიკის ყველა მშრომელს.

ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების დიდმნიშვნელოვანი ამოცანები. ჩვენს წინაშე ხომ ბევრი გადაუჭრელი საკითხია, შრომის ნაყოფიერების გადიდების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების საქმეში. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა უსწრაფესად დავნერგოთ წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, უფრო სრულად გამოვიყენოთ შრომის ნაყოფიერების გადიდების შესაძლებლობანი.

მთელმა საბჭოთა ხალხმა უდიდესი ყურადღებით მოისმინა თათბირზე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის გამოსვლა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების მძლავრ მოძრაობას, ღრმა ანალიზი გაუკეთა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას, ბოლომდე ამხილა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკა.

ხალხმა ერთსულოვნად მოიწონა ამხანაგ ხრუშჩოვის გამოსვლა. ჩვენი მოვალეობა ის არის, რომ კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის მოძრაობა ნამდვილად საყოველთაო-სახალხო გავხადოთ.

ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის მშრომელები, სახელოვანი მუშათა კლასი ყოველივეს გააკეთებენ ჩვენი პარტიის დიად წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის.

ამხ. ე. შევარდნაძის სიტყვა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ნება მიბოძეთ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით, რესპუბლიკის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის სახელით ძმურად მოგესალმოთ თქვენ — კომუნისტური შრომის პიონერებს, მომავლის მზვერავებს.

ჩვენ უდიდესი ისტორიული პროცესის მოწმენი ვართ — ჩვენი ქვეყანა კომუნიზმს აშენებს. ჩვენს თვალწინ თვალსაჩინო და ხელშესახები ხდება საუკეთესო ადამიანთა, კაცობრიობის ყველაზე მოწინავე წარმომადგენელთა ოცნება ნათელი მომავლის შესახებ. კომუნიზმის პრინციპები მტკიცდება შრომაში და თქვენ ხართ ამის პიონერები. თქვენ უვალი გზებით მიდიხართ მშვენიერი მიზნისაკენ — ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ კომუნისტურად. ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, თუ ყოველდღე როგორ ჩნდება კომუნიზმის ახალი ყლორტები, როგორ მტკიცდება კომუნიზმი ადამიანთა შეგნებაში. ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის, ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები პირად ინტერესებზე მაღლა — ეს პრინციპები, რომლებიც სულ უფრო მტკიცედ მკვიდრდება ახალგაზრდობის შეგნებაში, ამის მკაფიო დადასტურებაა 300 ჭიათურელი მაღაროელის შესანიშნავი მაგალითი, ვასილ პაპინაშვილის პატრიოტული წამოწყება, ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის მთელი ცხოვრება და მუშაობა ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში.

როგორ არ ვიამაყოთ იმით, რომ ჩვენი თაობა აშენებს კომუნიზმს, როგორ არ ვიამაყოთ იმით, რომ კომუნისტური შრომის ბრიგადისა და დამკვრელის წოდებისათვის შეჯიბრება ჩაისახა სწორედ კომკავშირის რიგებში, სულით და გულით ვუძღვნით მადლობას მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, კომკავშირის ყველა სახელოვანი საქმის სულისჩამდგმელს, იმ მაღალი შეფასებისათვის, რომელიც მან ჩვენ — კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებლებს მოგვცა.

ჩვენ ვიცით და გვწამს, რომ ხვალინდელი დღე, მომავალი ჩვენ გვეკუთვნის.

საქართველოს ახალგაზრდობა მხურვალე მადლობას უხდის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, ამხანაგ ხრუშჩოვს სწორი, პრინციპული, ბოლშევიკური პოზიციისათვის საერთაშორისო საკითხებში, და აცხადებს, რომ მზად არის შეასრულოს პარტიის ყოველი დავალება.

ამხ. გ. ჩოგოვაძის სიტყვა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოთა ხალხი კანონიერად ამაყობს თავისი ისტორიული მიღწევებით და ახლა ძალების დაუშურებლად იბრძვის შვიდწლედის დიდებული ამოცანების შესრულებისათვის. ამ კეთილშობილურ ბრძოლაში უდიდესი წვლილი შეაქვთ კომუნისტური შრომის დამკვრელებსა და ბრიგადებს.

კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში, ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში თათბირის მონაწილეებისადმი, ორგანულად ერთდება ბრძოლა იმისათვის, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა საფუძველზე მივაღწიოთ შრომის უმაღლეს ნაყოფიერებას და აღვზარდოთ ახალი ადამიანი — თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი. ეს არის კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის პატრიოტული მოძრაობის მთავარი თავისებურება.

ამ მოძრაობის ძლიერება უკვე გამოიხატა მისი ფართო გაქანებით, მისი მზარდი მასობრიობით. ახლა ჩვენს რესპუბლიკაში ამ შესანიშნავ მოძრაობაში მონაწილეობს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მრავალი ათასი მშრომელი, და შორს არ არის ის დღე, როცა იგი გადაიქცევა ნამდვილ საყოველთაო-სახალხო მოძრაობად. ამის საწინდარია სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ტექნიკური პროგრესისათვის.

ჩვენი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა, ჩვენი უდიდესი წარმატებანი მოსვენებას არ აძლევენ კომუნიზმის მტრებს, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მტრებს.

ამხანაგ ხრუშჩოვის გამოსვლებს მშვიდობის მტრების წინააღმდეგ მხურვალედ უჭერენ მხარს არა მარტო საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, არამედ დედამიწის ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანიც.

საბჭოთა ხალხი, რომელიც მჭიდროდ დარაზმულია მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, კვლავაც მტკიცე წინააღმდეგობას გაუწევს იმპერიალისტურ აგრესიას, არ დაიშურებს ძალებს იმისათვის, რომ გააძლიეროს სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება.

ამხ. შ. ჭანუყვაძის სიტყვა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სახელით მხურვალედ მივესალმები კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების მონაწილეებს, კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირმა დასახა ამ შესანიშნავი პატრიოტული მოძრაობის შემდგომი განვითარების გზები.

ჩვენი სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წარმოების მუშათა მაგალითისამებრ გააჩაღეს შეჯიბრება კომუნისტური შრომის კოლექტივების წოდებისათვის. ბევრი მეჩაიე, მევენახე და მეცხოველე აღწევს შესანიშნავ შრომითს წარმატებებს უხვი მოსავლისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის მაღალი მაჩვენებლებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ გვახარებს, რომ იმათ შორის, ვისაც მიენიჭა მთავრობის მაღალი ჯილდოები, ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მშრომელებიც არიან.

ახლა სოფლად ალოობაა. ათასობით კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები იღებენ ღონისძიებებს, რათა წარმატებით შეასრულონ ნაკისრი დიდი ვალდებულებანი. წარმოებს ბრძოლა ყველა წინა წელთან შედარებით ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ყველაზე მეტი მოსავლის—145 ათასი ტონა ფოთლის მიღებისათვის. მევენახეები შრომობენ, რათა სახელმწიფოს მიჰყიდონ 170 ათასი ტონა ყურძენი.

დიდი ვალდებულებანი იკისრეს ჩვენმა მეცხოველეებმა. მუშაობის პირველი შედეგები და ის ენთუზიაზმი, რომელიც გამეფებულია საკოლმეურნეო სოფელში, იმას მოწმობენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები წარმატებით გაართმევენ თავს თავიანთ მაღალ ვალდებულებებს.

ამხ. შ. თითბერიძის სიტყვა

საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

რუსთავის მშრომელები სიხარულით ადევნებდნენ თვალყურს კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირის მუშაობას.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდებისათვის შეჯიბრების ორგანიზაციაში მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისა და ინიციატივისათვის რუსთავის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს ოსტატს არჩილ ძამაშვილს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. სულით და გულით მივესალმებით შესანიშნავ მეშახტეს შოთა კუბლაშვილსაც, რომელსაც აგრეთვე მიენიჭა ეს მაღალი წოდება.

ასობით და ათასობით რუსთაველი დადგა კომუნისტური შრომის ბრიგადისა და დამკვრელის დროშის ქვეშ. კომუნისტური შრომის ბრიგადებიდან საამქროებისაკენ, საწარმოებისაკენ, და ქალაქისაკენ! — ასეთი ლოზუნგით შრომობენ ახლა ყველანი რუსთავში.

იმ დღეებში, როცა სრულიად საკავშირო თათბირი მიმდინარეობდა, რუსთავის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ პარტიისა და მთავრობის მამობრივი ზრუნვის პასუხად გადაწყვიტეს იცხოვრონ და იშრომონ კომუნისტურად. მათ იკისრეს რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა ქალაქი — რუსთავი გადააქციონ კომუნისტური შრომისა და ყოფაცხოვრების ქალაქად.

კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეთა მიმართვის პასუხად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა ახალი, გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრა და დაიწყო ბრძოლა კომუნისტური შრომის ქარხნის წოდების უფლებისათვის.

ამხ. ა. ძამაშვილის სიტყვა

ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს ოსტატი

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ჩემს მცირედ წვლილს შვიდწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში, მომანიჭეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ეს არა მარტო ჩემი, მებრძმედეების, არამედ რუსთავის ყველა მეტალურგის ჯილდოც არის. ამიტომ მინდა ერთხელ კიდევ სულით და გულით გადავუხადო მადლობა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს უბრალო საბჭოთა ადამიანებზე მამობრივი ზრუნვისათვის.

ბედნიერება მხვდა ვყოფილიყავი კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილე. კრემლის დიდ სასახლეში შეიკრიბნენ შრომის ადამიანები, ისინი, ვინც ქმნის სახალხო სიმდიდრეს, ვინც ჰქმნის სამშობლოს ძლიერებას. ეს იყო ნამდვილი შემოქმედებითი შრომის ქალიშვილთა და ჭაბუკთა შეკრება, რომელსაც მუშაობის მსვლელობაში შრომის პარლამენტი დაერქვა. მე ვნახე, თუ რა უდიდესი აღფრთოვანებით მოისმინეს შეკრებილებმა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის გამოსვლა, რომელშიც ნათლად აისახა ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ჩვენმა ქარხანამ შეასრულა ხუთი თვის დავალება მთელი მეტალურგიული ციკლის მიხედვით. სამშობლომ მიიღო ბევრი ზეგეგმითი ფოლადი, თუჯი, ნაგლინი, მილი. ჩვენ შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შევიტანეთ დაახლოებით 6 მილიონი მანეთი. მიღწეულია შავი და ფერადი ლითონების, ელექტროენერგიის დიდი ეკონომია. ამას წინათ ჩვენს ქარხანაში გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომლის მონაწილეებმა გადაწყვიტეს დაიწყონ შეჯიბრება კომუნისტური შრომის საწარმოს წოდებისათვის.

ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობათა ყველა მშრომელს მიმართავს მოწოდებით — გადასინჯონ წინათ ნაკისრი ვალდებულებანი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს შეხვდნენ ახალი წარმატებებით შრომაში.

ამხ. შ. კუბლაშვილის სიტყვა

სოციალისტური შრომის გმირი, ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის მნგრეველი

დიდი აღფრთოვანების, სიხარულის დღეები განვიცადეთ მშობლიურ მოსკოვში კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირზე.

დაუვიწყარი იყო ეს დღეები. მთელ სიცოცხლეში გვეხსომება ჩვენი მთავრობის მეთაურის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის გამოსვლა. მისმა ღრმაშინაარსიანმა სიტყვამ გული აღგვივსო. ჩვენ, თათბირის მონაწილეებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, მხურვალედ მოვიწონეთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

მოსკოვში კიდევ უფრო დავუახლოვდი დონბასის სახელგანთქმულ მეშახტეს, სოციალისტური შრომის გმირს, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს ნ. მამაის, რომელთანაც შეჯიბრება მაქვს. გავეცანი მაღალხარისხოვანი ქვანახშირის ამოღების ოსტატს ა. კოლჩიკს. ჩვენ გულითადად ველაპარაკეთ ერთმანეთს და გადავწყვიტეთ ვიმუშაოთ კიდევ უფრო დაძაბულად, მივცეთ სამშობლოს რაც შეიძლება მეტი სათბობი.

სულით და გულით ვუხდი მადლობას პარტიასა და მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის და პირობას ვიძლევი ვიმუშაო წინანდელზე უკეთესად.

ამხ. რ. სიამაშვილის სიტყვა

მახარაძის რაიონის ვაკიჯვრის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის მკრეფავთა მერგოლური

მე, ჩაის პლანტაციების უბრალო მშრომელს, წილად მხვდა დიდი პატივი — მე ვიყავი მონაწილე კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირისა, რომელიც კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა. ტრიბუნაზე ზედიზედ გამოდიოდნენ წარმოების მოწინავე მუშები, მშენებლები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების მშრომელები. ყველას გამოსვლა გამსჭვალული იყო უდიდესი სიყვარულითა და ერთგულებით კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, მისწრაფებით თავიანთი წვლილი შეიტანონ შვიდწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

რგოლი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, წარმატებით იბრძვის კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდებისათვის. შარშან ჩვენ 5 ჰექტარ ფართობზე მოვკრიფეთ 20.800 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, რაც ჰექტარზე 4.160 კილოგრამს შეადგენს. წელს ჩვენს რგოლს მიუჩინეს 5,5 ჰექტარი. ჩვენ გადავწყვიტეთ თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 5.000 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი. ეს დიდი ვალდებულებაა, მაგრამ რგოლის წევრების სახელით პირობა მივეცი თათბირის მონაწილეებს, რომ სიტყვას შევასრულებთ. ჩვენ გვინდა ვიყოთ ღირსი პარტიის მაღალი ნდობისა, რომელმაც ჩვენ, კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების მონაწილეებს, მომავლის პიონერები გვიწოდა.

ამხ. ლ. ზიმინას სიტყვა

თბილისის კოტონის წინდების ფაბრიკის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი

ჩვენი ბრიგადის წევრებისა და ფაბრიკის მთელი კოლექტივის სახელით მივესალმები კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეებს, ყველა აქ შეკრებილს.

ახლა ყველა ჩვენი ღონისძიებანი მიმართულია შვიდწლიანი გეგმის განხორციელებისათვის. საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ადამიანები თავდადებით შრომობენ, რათა შეასრულონ თავიანთი ახალი გადიდებული ვალდებულებანი.

დაე დღითიდღე მრავლდებოდეს კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მონაწილეთა რიგები. დაე უფრო მკაფიოდ გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრების ცეცხლი შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის, შრომის დიდი ნაყოფიერებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმების ეს სიტყვები კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეებისადმი მოგვიწოდებს ყველას ახალი თავდადებული საქმეებისათვის სამშობლოს სადიდებლად.

ჩვენი ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა შრომის ნაყოფიერება გაადიდოს 2 პროცენტით, წლიური გეგმის გადაჭარბებით ქვეყანას მისცეს 1.400 ათასი მანეთის პროდუქცია, აითვისოს ახალ სახეობათა წინდების გამოშვება.

მთელი კოლექტივის სახელით პირობას გაძლევთ, რომ ნაკისრ ვალდებულებას ღირსეულად შევასრულებთ.

ამხ. ც. ავიძბას სიტყვა

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჰლოუს კოლმეურნეობის მერგოლური

მე მინდა მოკლედ გიამბოთ ჩვენი რგოლის მუშაობასა და ცხოვრებაზე. რგოლში 8 კომკავშირელია. რგოლს მიჩენილი აქვს ოთხი ჰექტარი ჩაის პლანტაცია. შარშან მოვკრიფეთ 25,2 ტონა ჩაის ფოთოლი — დავალებაზე ერთი ტონით მეტი. ახლა გაჩაღებულია ჩაის ფოთლის კრეფა. ჩვენ ვიბრძვით 26,5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლისათვის. ერთსულოვნად ვმუშაობთ და ეჭვი არ გვეპარება, რომ მნიშვნელოვნად გადავაჭარბებთ ამ ციფრს.

რგოლმა გაშალა შეჯიბრება კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდების მიღებისათვის. ჩვენი რგოლი ერთი ოჯახივით არის. საერთო გვაქვს ჭირიცა და ლხინიც. სხვადასხვა ხასიათის ადამიანები ვართ, მაგრამ ყველას გვაერთიანებს ერთი მისწრაფება — ვიმუშაოთ რაც შეიძლება უკეთ, უფრო აქტიურად, ვიყოთ პირველნი კოლმეურნეობაში.

ამხ. ე. ვარშანიძის სიტყვა

ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის მემოტორე

ჩვენი ფაბრიკის კოლექტივმა დიდი შრომითი ენთუზიაზმით გაშალა სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლიანი გეგმის ვადამდე განხორციელებისათვის. გასული წლის გეგმა საწარმომ 107,6 პროცენტით გაანაღდა, დიდძალი პროდუქცია გამოუშვა გეგმის გადამეტებით. დიდი გადაჭარბებით შესრულდა მიმდინარე წლის ხუთი თვის გეგმაც.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი კომუნისტური შრომის ბრიგადებით, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ცნობილი ოსტატები ლ. ჭყოიძე, ნ. სიხარულიძე, ა. პუნინჩაია და ლ. ცქვავა. იზრდება კომუნისტური შრომის ბრიგადების წოდებისათვის მებრძოლი ბრიგადების რიცხვი. ამ საპატიო წოდებისათვის იბრძვის პირველი სამკერვალო საამქროს კოლექტივი, რომელსაც მეთაურობს ინჟინერი კომუნისტი გ. კუკულაძე.

ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად. ნაკისრია ახალი გადიდებული ვალდებულებანი.

ჩვენი ფაბრიკის კოლექტივმა მთხოვა გადმოგცეთ, რომ თავის ვალდებულებებს იგი პირნათლად შეასრულებს.

ამხ. ბ. ტიბილოვის სიტყვა

სტალინირის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“ მუშა

სიხარულის მღელვარებით ვადევნებდით თვალყურს ჩვენ, სამხრეთ ოსეთში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირის მუშაობის მსვლელობას. სულით და გულით ვუჭერთ მხარს პარტიისა და მთავრობის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, დაუცხრომელი ზრუნვის პასუხად გვინდა დაუღალავად ვიშრომოთ. ჩვენი ქარხნის მუშები ცდილობენ მიბაძონ თქვენს სახელოვან მაგალითს— იცხოვრონ და იმუშაონ კომუნისტურად.

ჩვენი საწარმოს კადრის მუშებთან ერთად ღირსეულად შრომობენ კომკავშირელები და ახალგაზრდობა, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ მოსწავლეები იყვნენ. ისინი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო გეგმებს, იმაღლებენ ზოგადი განათლებისა და ტექნიკური ცოდნის დონეს. ჩვენი კომკავშირელები ჩაებნენ კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და ბრიგადების სრულიად საკავშირო მოძრაობაში და ისწრაფვიან მოიპოვონ ეს საპატიო წოდება, იყონ ყველაზე მოწინავენი საწარმოში.

ამხ. გ. ქადაგიძის სიტყვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ძვირფასო ამხანაგებო! ნება მიბოძეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მთავრობის დავალებითა და სახელით მხურვალედ მოგესალმოთ თქვენ — კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეებს და თქვენი სახით რესპუბლიკის ყველა მუშასა და კოლმეურნეს და გისურვოთ შემდგომი თვალსაჩინო წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში, დიდი ბედნიერება საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში!

ჩვენ ვცხოვრობთ შესანიშნავ დროში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ლენინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებს კომუნისტური საზოგადოების ნათელ შენობას, ახორციელებს სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

გრანდიოზული წარმატებანი, რომლებიც ჩვენი დიდი სამშობლოს მშრომელებმა მოიპოვეს, წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ხალხის უფართოესი მასების ენთუზიაზმი, გმირული შრომა.

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ეპოქის დაწყებასთან ერთად წარმოიშვა ახალი, უფრო სრულყოფილი ფორმები შრომისადმი დამოკი-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

გამოვჭედოთ კომუნისტური შრომის გამარჯვება

(დასასრული)

დებულებისა. ჩვენი ეპოქა კომუნისტური ფორმაციის ადამიანის შექმნის ეპოქაა და ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ჩვენი საზოგადოების განვითარების სწორედ ამ ეტაპზე წარმოიშვა, განმტკიცდა და ფართოდ განვითარდა კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების მოძრაობა და გაგანოველთა სახელოვანი მოძრაობა.

კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რაც უფრო ღრმაა გარდაქმნა, რომელიც ჩვენ გვინდა მოვახდინოთ, მით უფრო მაღლა უნდა დავაყენოთ მილიონობით ადამიანის ინტერესი და შეგნებული დამოკიდებულება მისდამი. სწორედ ამ მაღალი შეგნებულობის მაგალითს გვიჩვენებენ კომუნისტური შრომის ჩვენი დამკვრელები და ბრიგადები. ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მრავლდება იმ ადამიანთა რიგები, რომლებიც კაფავენ ტექნიკური პროგრესის ახალ გზებს, განუხრელად ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, აძლიერებენ თავის წვლილს დიდებული შვიდწლიანი გეგმის, სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში, გვიჩვენებენ მაგალითს ყოფაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სწავლაში, მეგობრობაში.

ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ გავრცელდა კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და გაგანოველების მოძრაობა. კომუნისტური შრომის ბრიგადების წოდება მიენიჭა 539 მოწინავე კოლექტივს 6.836 კაცის შემადგენლობით. ამ წოდებისათვის იბრძვის კიდევ 2.319 კოლექტივი 33.967 კაცის შემადგენლობით. კომუნისტური შრომის დამკვრელების წოდება მიენიჭა 1.967 მშრომელს და ამ წოდებისათვის იბრძვის 13.324 კაცი. ვ. გაგანოვას თაოსნობას ბაძავს 1.009 მშრომელი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები, რომლებმაც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა მიიღეს როგორც თავიანთი საკუთარი, მშობლიური საქმე, იჩენენ ძვირფას შემოქმედებითს ინიციატივას, რომელიც მიმართულია ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისაკენ.

მასების შემოქმედებითი აქტივობის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნა მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მეცხოველეობის ფერმებსა და სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში. განსაკუთრებით აქტიურად ჩაება ამ საყოველთაო-სახალხო საქმეში ჩვენი სახელოვანი სოფლის ახალგაზრდობა.

ამ სახელოვანი მოძრაობის განვითარებაში დიდმნიშვნელოვანი მიჯნა იყო კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირი. მან მთელი მკაფიობით ასახა მშრომელთა ჭეშმარიტად მასობრივი ენთუზიაზმი, რომელიც წარმოიშვა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ეპოქაში.

თათბირზე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის უაღრესად ღრმა და მკაფიო გამოსვლაში მოცემულია საერთაშორისო ვითარების ამომწურავი მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, მკაფიოდ ჩამოყალიბებულია საბჭოთა მთავრობის საგარეოპოლიტიკური პოზიცია, რომლის მიზანია მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება.

საბჭოთა ხალხი და მათ შორის საქართველოს მშრომელებიც მხურვალედ უჭერენ მხარს ბრძნულ ლენინურ პოლიტიკას, რასაც ახორციელებს მშობლიური მთავრობა, რომელმაც ამხილა აგრესორები, ნიღაბი ჩამოგლიჯა მათ, მთელ მსოფლიოს უჩვენა ამერიკელი იმპერიალისტების ნამდვილი სახე. კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების მოწინავეთა თათბირი ამ საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერის ახალი მკაფიო გამოვლინება იყო.

ჩვენი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის დამაჯერებელი დადასტურება იყო საბჭოთა მთავრობის დღეს გამოქვეყნებული წინადადებანი საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების ძირითად დებულებათა შესახებ და ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის წერილი ყველა ქვეყნის მთავრობათა მეთაურებისადმი საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხზე, აგრეთვე მისი განცხადება პრეს-კონფერენციაზე. ეს ჭეშმარიტად ისტორიული დოკუმენტები მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირს სურს ნამდვილი და სრული განიარაღება, ყველა სახეობის იარაღის მოსპობა და სასტიკი კონტროლის დაწესება განიარაღებისადმი, რათა არავის არ შეეძლოს შეიარაღება, რათა არავის არ შეეძლოს ომით დამუქრება.

ამხანაგებო! კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების წოდებისათვის შეჯიბრების ბევრმა მოწინავემ მიიღო მთავრობის მაღალი ჯილდოები. მათ შორის სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭათ რუსთაველ მეტალურგს არჩილ ძამაშვილსა და ტყიბულელ მეშახტეს შოთა კუბლაშვილს. ეს არის ყველა ჩვენი მშრომელის თავდადებული მუშაობის მაღალი შეფასება, რომლებიც არ იშურებენ ძალებს, ენერგიას, უნარს, რათა განახორციელონ კომუნისტური პარტიის წინასწარდასახულობანი.

მაღალი ჯილდოს პასუხად კომუნისტური შრომის პიონერებმა საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს მიმართეს მგზნებარე მოწოდებით კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა გახადონ ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის, 1960 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს, გაამრავლონ ჩვენი ღონისძიებანი შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

ქებას ღირსია რუსთაველი მეტალურგების სახელოვანი პატრიოტული ინიციატივა, რომლებმაც იკისრეს იბრძოლონ კომუნისტური შრომის საწარმოს მაღალი წოდებისათვის და აიღეს გადიდებული ვალდებულებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი ივლისის პლენუმისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა ამ ძვირფას წამოწყებას. ეჭვი არა გვაქვს, რომ რესპუბლიკის სხვა საწარმოებიც გამოეხმაურებიან ამ ინიციატივას, იბრძოლებენ კომუნისტური შრომის გამარჯვებისათვის, გაამრავლებენ ჩვენი დიდი სამშობლოს მატერიალურ სიმდიდრეს.

სავსებით უეჭველია, რომ ჩვენი დიდი სამშობლოს მშრომელები, მათ შორის საბჭოთა საქართველოს მშრომელებიც, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ განახორციელონ პარტიის დიადი წინასწარდასახულობანი, ააშენონ კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოგვიახლოონ იმ წყობილების გამარჯვება, რომელზეც კაცობრიობა საუკუნეთა მანძილზე ოცნებობდა, — კომუნიზმის გამარჯვება.

* * *

მარშის ხმაზე დარბაზში შემოდის პიონერთა და მომავალ მუშათა — პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა დელეგაცია. ისინი მოვიდნენ, რათა მიესალმონ კომუნისტური შრომის წამომწყებთ, უთხრან მათ, რომ მათი მაგალითით სწავლობენ კომუნისტურად ცხოვრებასა და მუშაობას. ბავშვები სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებს, სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეებს გადასცემენ ყვავილთა თაიგულებს.

გამოსვლები დამთავრდა. ეს ამაღელვებელი დღე დიდხანს დარჩება შეკრებილთა ხსოვნაში.

შეხვედრის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით, ტაშის გრიალში მიიღეს ტექსტი მისასალმებელი წერილისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. (საქდესი).

ქართველმა მოცეკვავეებმა მოხიბლეს მექსიკელები

მეხიკო, 4 ივნისი. (საქდესი). გუშინ საღამოს კაზმული ხელოვნების სასახლეში გაიმართა მექსიკაში საგასტროლოდ ჩამოსული საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის პირველი კონცერტი.

საბჭოთა მსახიობების გამოსვლას მექსიკელები უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდნენ. ყოველ ცეკვის შესრულებას მაყურებელი მხურვალე ოვაციებითა და აღტაცებული შეძახილებით ეგებებოდა. დიდადკმაყოფილმა მაყურებელმა მსახიობებს ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიუძღვნა.

კონცერტს დაესწრნენ მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მანუელ ტელიო, განათლების მინისტრი ტორეს ბოდეტი და სხვა ოფიციალური პირები, თეატრალური საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი მექსიკაში ვ. ი. ბაზიკინი.

ბუდაუთის სანაპიროს ხედი.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

პოეზიის ზეიმი

საკაცობრიო კულტურის ისტორიაში არ არსებობს არც ერთი დიდი ეპოქა, რომელიც არ განათებულიყოს ჭეშმარიტი პოეზიის ელვარებით. ჩვენი მადლიანი ქვეყანა ყოველთვის იყო პოეტური შთაგონების წყარო ბევრი შემოქმედისათვის. ქართულმა ხალხურმა პოეზიამ შექმნა ისეთი შედევრი, როგორიც არის „ბალადა ვეფხისა და ყმისა“. ქართული კლასიკური პოეზია ამაყობს რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მარგალიტებით.

ეპოქის ქარტეხილებში დაბადებული ლექსი დაჩაგრულს ამხნევებდა, მებრძოლს ბრძოლის ველზე მკლავს გაუმაგრებდა, დასევდიანებულ ადამიანს ანუგეშებდა, განთიადის მორბედი ვარსკვლავივით გაუღიმებდა. ასეთი ჭეშმარიტი, მაღალ იდეურმხატვრული ღირსების პოეზია ყოველთვის იყო და არის ყოველი ადამიანის ცხოვრების თანამგზავრი.

დღეს, როგორც არასოდეს, ფრთები შეისხა პოეზიამ. საბჭოთა ეპოქა, კომუნისტური მშენებლობის დიადი ხანა აღაფრთოვანებს ყველა ნიჭიერ პოეტს თანამედროვეობის გრანდიოზულ მოვლენათა გამოსახატავად, ხალხის სულიერ ცხოვრებაში ღრმად ჩასაწვდომად.

ასეთი ფიქრებითა და გრძნობებით ხვდებიან 5 ივნისს — პოეზიის დღეს ქართველი საბჭოთა პოეტები. დღეს საქართველოში პოეზიის დღე პირველად აღინიშნება. პოეზიის ეს დღესასწაული დაემთხვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის კარიბჭეს. ქართველი პოეტები მთელ თავიანთ ნიჭს მოახმარენ ახალი მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნას. ყოველ შემდგომ წელს პოეტური ძალების დათვალიერების დღე იქნება ქართული ლექსის ზეიმი.

იმრავლოს ქართული სიტყვის ჯავარმა!

პოეტები — მკითხველს

დღეს ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართება პოეზიის დღე. დღის 12 საათზე ქართველი საბავშვო პოეტები შეხვდებიან ნორჩ მკითხველებს, ხოლო საღამოს 9 საათზე გაიმართება ქართული საბჭოთა პოეზიის საღამო. საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ირაკლი აბაშიძე. კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი წაიკითხავს მოხსენებას — „მაღალი აზრებისა და გრძნობების პოეზიისათვის“.

პარკის ტერიტორიაზე მოეწყობა წიგნის ბაზრობა, სადაც პოეტები წიგნის დახლთან შეხვდებიან მკითხველებს. რადიოკვანძი გადასცემს აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ქუჩიშვილის მიერ წაკითხულ და ფირზე ჩაწერილ ლექსებს.



პარნასზე ჰქვია გემს „პოეზია“,
მიდის, მიცურავს ოცნების ზღვაში.
ვინ ვის გაუსწრო, ვის მოეწია —
ყველას შეატყობთ პოეტურ წვაში.
ავიღოთ თუნდაც ეს კაფანდარა,
ყაზახეთში რომ მონახა პაპა.
ნონეშვილია, ლექსს ჩააბარა
მთელი სიცოცხლე და გულის ჯაფა.
აზრის პოეტად თვლიან ჩიქოვანს,
ბევრს იგი მოსწონს, იწუნებს ბევრიც.
ლამაზ თაიგულს ლექსად გვიკონავს,
ხშირად გვაფიქრებს სახეთა ტევრი.
ტკბილად მღერიან აბაშიძენი,
რა ქნას, სიმაღლე ერთს თუ აკლია!
ნახეთ ლექსი და პწკარით იგრძენით —
ეს გრიგოლია, ეს ირაკლია.
შინაურულად გოგლას ვეძახით,
ვინც ასახელა პატარძეული.
არ დასეტყვია ლექსის ვენახი,
კაცია ლექსად გადაქცეული.
წიგნებით ნახავთ თბილისში სოსოს,
რომ „აუხსნია ბევრი ქარაგმა“.
ვერ ხედავს კინტოს, ლექსში კი მოსწონს,
რაც დაივიწყა ძველმა ქალაქმა.
გემის გვერდზეა პატარა ნავი,
შიგ ზის ოთარი, აწყობს ბალადას.
მგონი, პოემას მოაბა თავი,
არ ეხეტება ახლა ცალადა.
ბევრი იფიქრა ლექსზე ანამა,
ჟუჟუნა წვიმით სიტყვაც დანამა.
კარგად გათენდა მისი კალანდა,
ლექსს რად მოუკლო, ხომ არ დანანდა!
დროს ვუგალობოთ, ვიმღეროთ ისე,
როგორც ეს ხალხს და მამულს წყურია.
სჯობს პოეზიას გული მთლად მისცე,
წინ — კომუნიზმის ნავსადგურია...

მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი.

საჩუქრად ქართული ლექსი

კარგი საჩუქარი უძღვნა ამ დღეებში ქართველ მკითხველს გამომცემლობა „ნაკადულმა“. წიგნს, რომელიც აქ გამოსცეს, „ჩანგი“ ეწოდება. რუსთაველიდან მოკიდებული თითქმის ყველა გამოჩენილი ქართველი პოეტის საუკეთესო ლექსია დაბეჭდილი ამ კრებულში.

მკითხველი სიამოვნებით გადაიკითხავს რუსთაველს, გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთას“, „საწუთროს სოფლის სამდურავს“ და „ზუბოვკას“, ბესიკის „სევდის ბალს“, „ტანო ტატანოს“, ალექსანდრე ჭავჭავაძის „სიყვარულო, ძალსა შენსას“, გრიგოლ ორბელიანის „იარალის“, „საღამო გამოსალმებისას“, ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანს“, „სულო ბოროტოს“, რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისას“, ილია ჭავჭავაძის „ყვარლის მთებს“, „ბაზალეთის ტბას“, აკაკი წერეთლის „განთიადს“, „სულიკოს“, ვაჟა-ფშაველას „არწივს“, „ფშაველი ჯარისკაცის წერილს“, გიორგი ქალადიდელის, იოსებ დავითაშვილის, იროდიონ ევდოშვილის, ბაჩანას, მამია გურიელის, შიო მღვიმელის, დუტუ მეგრელის, ნოე ჩხიკვაძისა და გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს:

„ქვეყნის მეტი მზით ავსება
საგანია ჩვენი ზრუნვის,
ჩვენ შევძლით დაფასება
ჩვენი მძლავრი საუკუნის.
გავიარეთ სევდისმგვრელი
გზათა სივრცე და საზღვარი,
გადავლახეთ ღამე ბნელი
და ბურუსი ყოველგვარი.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
გიცავდი და გიცავ მარად,
გიცავდი და კვლავ დაგიცავ“. —



გალაკტიონ ტაბიძის ამ ამაღლვებელი, პატრიოტული სტრიქონებით იხურება კრებული.

წიგნის გრაფიკული გაფორმება ეკუთვნის ლ. გრიგოლიას. ქართველი პოეტების პორტრეტები შესრულებულია ი. ნიკოლაძის, უ. ჯაფარიძის, ლ. გუდიაშვილისა და ვ. მჭედლიშვილის მიერ.

წიგნის რედაქტორია ხუტა ბერულავა.

საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები, ცნობები, მიმოხილვა

კისი იმკის...

ტოკიო, 3 ივნისი. (საქდესი). 4 მილიონზე მეტი იაპონელი მიიღებს მონაწილეობას ხვალ საყოველთაო გაფიცვაში, თქვა დღეს უცხოელი კორესპონდენტებისათვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს გენერალურმა მდივანმა ივაიმ. მან განაცხადა, რომ კისის მთავრობამ, ძალით დამტკიცა რა ქვედა პალატაში იაპონია-ამერიკის სამხედრო ხელშეკრულება, ფეხქვეშ გათელა დემოკრატია, გაქელა იაპონელი ხალხის ნება. ამიტომ მეტი წილი იაპონელები მოითხოვენ კისის მთავრობის დაუყოვნებლივ გადადგომას, პარლამენტის დათხოვნას. ამ ლოზუნგებით ჩაივლის ხვალ საყოველთაო გაფიცვა, თქვა ივაიმ.

განიარაღების პრობლემა უნდა გადაწყდეს

გამოხმაურება უცხოეთში განიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირის ახალ წინადადებათა გამო

ნიუ-იორკი, 3 ივნისი. (საქდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილმა ყველა ქვეყნის მთავრობათა მეთაურებისადმი საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხზე და საბჭოთა მთავრობის წინადადებებმა საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების ძირითად დებულებათა შესახებ ამერიკის პრესის და საზოგადოებრიობის უაღრესად ფართო ყურადღება მიიპყრო. გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ პირველ გვერდზე დიდი სათაურით გამოაქვეყნა ცნობა საბჭოთა კავშირის წინადადებათა შესახებ, ამასთან აღიარებს, რომ საბჭოთა წინადადებანი მოწმობენ, საბჭოთა მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილებას მიაღწიოს განიარაღების პრობლემის რადიკალურ გადაჭრას. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტმა ჰამილტონმა ამ წინადადებებს უძღვნა ვრცელი სტატია, სათაურით: „რუსები მსოფლიო განიარაღების ახალ გეგმას წარუდგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას“.

ამ სტატიაში ჰამილტონი ხაზს უსვამს, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ საბჭოთა ახალი წინადადებები „აკმაყოფილებენ დასავლეთის კრიტიკულ შენიშვნებს“ და მოითხოვენ მკაფიოდ განისაზღვროს კონტროლი, რომელიც უნდა დაწესდეს განიარაღების თვითეული სტადიისათვის სამი სტადიიდან. ისინი ითვალისწინებენ საკონტროლო ორგანიზაციას, რომლის წევრებიც იქნება განიარაღების ხელშეკრულების მონაწილე ყველა ქვეყანა. საკონტროლო საბჭოში, ისევე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში, იქნებიან როგორც მუდმივი, ისე არჩეული წევრებიც, ამასთან არჩეულ წევრებს ყველა წევრი აირჩევს“.

„შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა, — წერს ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჰაიტაუერი, — განაცხადეს, რომ გულდასმით შეისწავლიან ახალ საბჭოთა წინადადებას“. მაგრამ როგორც ჰაიტაუერის იმავე ცნობიდან ჩანს, სახელმწიფო დეპარტამენტის გარკვეული წრეები ცდილობენ საეჭვო გახადონ ეს წინადადებანი ისე, რომ არც კი დაუწყიათ მათი სერიოზული განხილვა. როგორც ჰაიტაუერი აცხადებს, ამ წრეების წარმომადგენლებმა საჩქაროდ განაცხადეს, რომ ხრუშჩოვს „არ შეუტანია წინადადებანი, რომლებიც იძლეოდეს იმის რაიმე ნამდვილ იმედს, რომ აღმოსავლეთი და დასავლეთი დააღწევენ თავს ჩიხს განიარაღების საკითხში“.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო აღნიშნავს, ამერიკის ოფიციალურ პირებს სურთ ახალი საბჭოთა წინადადებანი საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ დასახონ როგორც „პროპაგანდისტული ჟესტი, რომლის მიზანია, დაარწმუნოს მთელი მსოფლიო, რომ, მიუხედავად უმაღლესი დონის პარიზის თათბირის ჩაშლისა, კრემლს განზრახული აქვს ენერგიულად იბრძოლოს მსოფლიო გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის“.

პარიზი, 3 ივნისი, (საქდესი). პარიზის გაზეთებმა გამოაქვეყნეს შინაარსი საბჭოთა კავშირის ახალი წინადადებებისა განიარაღების შესახებ.

გაზეთმა „ფიგარომ“ გამოაქვეყნა ეს ცნობა შემდეგი სათაურით: „საბჭოთა კავშირის განიარაღების ახალი გეგმა გადაეცათ დასავლეთის სახელმწიფოებს: აიკრძალოს ბალისტიკური ყუმბარები, რომელთაც შეუძლიათ ზიდონ ატომური იარაღი; აიკრძალოს სამხედრო ბაზები სხვის ტერიტორიებზე“.

გაზეთი „კომბა“ ხაზს უსვამს სათაურში: „განიარაღების საკითხზე სსრ კავშირი იღებს საფრანგეთის წინადადებას, რომ პრიორიტეტი მიეცეს ატომური იარაღის მიტანის საშუალებებს“. გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს, რომ საბჭოთა ახალი გეგმა ითვალისწინებს დასავლეთის კრიტიკას კონტროლის საკითხში და შეიცავს კონკრეტულ წინადადებას საერთაშორისო საბჭოს შექმნის შესახებ.

„ხრუშჩოვს მშვიდობის ახალი გეგმა შეაქვს“, — წერს გაზეთი „პარიჟური“.

ლონდონი, 3 ივნისი, (საქდესი). საბჭოთა მთავრობის ახალმა წინადადებებმა საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების ძირითად დებულებათა შესახებ დიდი ინტერესი გამოიწვია ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გახდებოდა ცნობილი მათი დეტალები, რომლებიც ჩამოყალიბდა დღევანდელ პრეს-კონფერენციაზე კრემლში.

რეიტერის სააგენტოს მოსკოველმა კორესპონდენტმა გადასცა წინადადებათა შინაარსის დაწვრილებითი ანგარიში, მაგრამ გაზეთებმა მეტად გვიან მიიღეს ეს ცნობა და ვერ მოასწრეს კომენტარების გაკეთება თავიანთ ადრინდელ გამოშვებაში.

მიუხედავად ამისა „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური მიმომხილველი მაიკლ ჰილტონი, აღნიშნავს რა, რომ მან ჯერ კიდევ არ იცის დეტალები, ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ახალ წინადადებებში „მთავარი ყურადღება ექცევა იმას, რომ აიკრძალოს ატომური იარაღის მიზანთან მიტანის ყველა საშუალება, ამავე დროს გაუქმდეს უცხოეთის ყველა ბაზა“. კორესპონდენტი ჩქარობს წამოაყენოს თავისი საწინააღმდეგო მოსაზრებანი და აცხადებს, რომ „ერთიც და მეორეც რომ ერთბაშად მოხდეს, დასავლეთი დაუყოვნებლივ მნიშვნელოვან ზარალს ნახავსო“.

მდგომარეობა თურქეთში

ლონდონი, 4 ივნისი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, თურქეთის პრემიერ-მინისტრმა გენერალმა ჯემალ გიურსელმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ 400-ზე მეტი დეპუტატის საქმეთა გარჩევა, რომელნიც მხარს უჭერდნენ მენდერესის მთავრობას, დაუყოვნებლივ დაიწყება. ამ მიზნით, თქვა მან, შეიქმნა გამომძიებელი კომისია.

უპასუხა რა კითხვაზე თუ როგორ ეკიდება იგი დასავლეთის ტიპის ორ პარტიულ სისტემას, პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ თურქეთის ყველა პარტია მიიღებს თანაბარ უფლებებს და რომ არჩევნების მოწყობის დროს გამოყენებულ იქნება პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპი.

ანკარა, 2 ივნისი. (საქდესი). როგორც გაზეთი „ულუსი“ იუწყება, თურქეთის ყოფილი მთავრობის წევრების დაპატიმრების შემდეგ გამოვლინდა კორუფციისა და იმის ფაქტები, რომ მინისტრები ბოროტად იყენებდნენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას.

აღმოჩნდა, კერძოდ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა ზორლუმ უკანონოდ წაიღო სახელმწიფო ხაზინიდან 7 მილიონი ლირა, ხოლო ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა პოლათქანმა მიითვისა 2 გემი, რომლებიც თურქეთმა სახელმწიფო საჭიროებისათვის შეისყიდა. გარდა ამისა, ჩხრეკის დროს ზორლუს ბინაში იპოვნეს იმის ხელწერილი, რომ ზორლუს ვინმე დერვიშისაგან მიუღია 4,5 მილიონი ლირა, აგრეთვე ხელწერილი 2,5 მილიონი ლირისა, რაც ზორლუს მიუღია მერსინის ნავსადგურის მშენებლობაში დახმარებისათვის.

სპორტი

ევროპის პირველობა კალათბურთში

სოფიაში საზეიმოდ გაიხსნა ევროპის პირველობის გათამაშება კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის. ამ შეჯიბრებაში, გარდა სსრ კავშირის ნაკრებისა, რომელსაც ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად თვლიან, გამოდიან ბულგარეთის, ბელგიის, უნგრეთის, პოლონეთის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, რუმინეთისა და ჰოლანდიის კალათბურთელთა ნაკრები კოლექტივები.

პირველ კალენდარულ მატჩში სსრ კავშირის ნაკრები შეხვდა იუგოსლავიის გუნდს. ბრძოლა საბჭოთა კალათბურთელების უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 78:35.

ჩეხოსლოვაკიის გუნდმა მოუგო პოლონეთის კალათბურთელებს 64:49, რუმინეთის სპორტსმენთა კოლექტივმა — უნგრეთის გუნდს 55:46, ბულგარეთის კალათბურთელებმა — ჰოლანდიის გუნდს 87:39.

შეჯიბრება გრძელდება.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით დანიშნა ამხ. ვასილ სიმონის-ძე **ემელიანოვი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

5 ივნისი



თეატრები: ქუთაისის მესხიშვილის სახელობის — ოტელო (დღისით), კოლხეთის ცისკარი (საღამოს, ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში), **რუსთაველის სახელობის** — ისინი შეხვდნენ ერთმანეთს (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — იულიუს კეისარი და კლეოპატრა (დღისით და საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — გაზაფხულის ვიოლინოები (დღისით), თხუნელა (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — სიმღერა თბილისზე (სეზონის დახურვა რკინიგზელთა სახლში), **სანკულტურის** — ჯავშნიანი გული, **ფილარმონიის საზაფხულო** — რიგის საესტრადო ორკესტრი — რეო.

ტელევიზია: 12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.15 — მხატვრული ფილმი „ოქროს სახლი“, 13.25 — თბილისის მე-6 მუსიკალური სკოლის მოსწავლეთა კონცერტი 14.00 — „უცხო ენის შემსწავლელთათვის“ — ინგლისური ენის გაკვეთილი, 19.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 19.15 — „მომავალი პლენუმის შესახვედრად“ — „სიახლენი სოფლის მეურნეობის ტექნიკაში“, 19.30 — კინონარკვევი, 19.50 — კონცერტი, 20.40 — ახალი მხატვრული ფილმი „საზღვარი რამდენიმე ნაბიჯზეა“.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღებისა — 3-64-42.

უე 02758

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.